საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი,
24
სექტემბერი
1936 წ.
№ 222 (4721)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

დღეს გაზეთში:

— სტალინური სიფხიზლის დროშით! (მეთაური)
— ამხ. მოლოტოვი და ვოროშილოვი მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების საოლქო ტაქტიკურ სწავლებაზე.
— ამხ. ს. ა. კუდრიავცევის არჩევა უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.
— ლ. გოლდშტეინი.—ფაშისტური გერმანიის კოლონიალური ავანტიურები (ფელეტონი).
— ქ. მავზარაშვილი — გასაწვევ პუნქტზე. (ფელეტონი).
— პროფ. ა. შანიძე — ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენისათვის (ფელეტონი).
უცხოეთში.
— სამხედრო ფაშისტური ამბოხება ესპანეთში.
— მდგომარეობა ფრონტებზე.
— ესპანეთის კომპარტიის მადრიდის საოლქო კომიტეტის მოწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური სიფხიზლის დროშით

გამოხატავდა რა საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან ხალხთა ნებასყოფას, პროლეტარიატის დიქტატურის მართლმსაჯულებამ საერთო-სახალხო მრისხანების განაჩენი გამოუტანა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის მონაწილეებს, ავაზაკთა და ბოროტმოქმედთა ამ ბანდას, გაშიშვლებულ კონტრრევოლუციონერებსა და გერმანიის ფაშიზმის საიდუმლო პოლიციის ამ სისხლიან ჯაშუშებს. საბჭოთა სამშობლოს მოღალატენი მხილებულნი, გასამართლებულნი და განადგურებულნი არიან.

ამას გარდა, ჩვენს პარტიაში, ლენინ-სტალინის პარტიაში, პარტიული დოკუმენტების გამოცვლისას, აგრეთვე ამ უკანასკნელ დროს მთელ რიგ ადგილებში მხილებულ იქნენ შენიღბული მტრები, ტროცკისტ-ზინოვიეველთა ავაზაკური ბანდის ნაბოლარები, რომელნიც სხვადასხვა ხრიკებით თავს ასაღებდნენ რა ბოლშევიკური პარტიის ერთგულ წევრებად, სინამდვილეში საზიზღარ მუშაობას ეწეოდნენ პარტიის წინააღმდეგ, სოციალიზმის წინააღმდეგ.

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ აქედან?

ის, რომ ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე კიდევ უფრო მეტად უნდა გავამახვილოთ სიფხიზლე შემტევი, ბოლშევიკური, ვინაიდან როგორც ამას დიდი სტალინი გვასწავლის, „რევოლუციური სიფხიზლე წარმოადგენს იმ თვისებას, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა ახლა ბოლშევიკებისათვის“.

ის, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა გავამახვილოთ ბრძოლა დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ, პარტიული ლიბერალების წინააღმდეგ, რომელნიც ხშირ-ხშირად იმეორებენ სიტყვებს სიფხიზლეზე, მაგრამ თავიანთი მოქმედებით თუ უმოქმედობით საშუალებას აძლევენ პარტიის მტრებს შექმნან ნიადაგი კონტრრევოლუციური დამანგრეველი მუშაობისათვის.

ის, რომ კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ იდეოლოგიურ ფრონტს, პარტიული პროპაგანდის მაღალ საფეხურზე აყვანას, კერძოდ ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას, ანტიპარტიულ მიმდინარეობათა და ჯგუფებთან ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლის შესწავლას.

ის, რომ კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა და გულდასმით მოვისმინოთ მასების ხმა, რათა დროულად გამოვეხმაუროთ მათ მოთხოვნებს, მათ სიგნალებს ჩვენ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და მტრული ელემენტების დამანგრეველი მოქმედების აღსაკვეთად.

ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარია ბოლშევიკური სიფხიზლის ამაღლება.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად, მტერი იცვლის ბრძოლის ფორმებს, ის ინიღბება, ხდება უფრო ცბიერი და შემპარავი. გრძნობს რა თავის აღსასრულს, ის მიმართავს ბრძოლის ყველაზე უკიდურეს საშუალებას, უკანასკნელ გაბრძოლებას. ამის დამამტკიცებელია ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის პროცესი.

სტალინურად, ბოლშევიკურად უნდა ვამხილოთ პარტიის მტრები, სოციალიზმის მტრები, ლიბერალები და შემარიგებელნი, რომელთაც მოადუნეს რევოლუციური სიფხიზლე. ადამიანთა გულდასმით შესწავლისა და შემოწმების საფუძველზე ჩვენი რიგები უნდა გავწმინდოთ მკვლელთა, ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ბანდის აგენტებისა და ნაბოლარებისაგან.

სამწუხაროდ, ჩვენს პარტიაში აღმოჩნდნენ აგრეთვე დამპალი ლიბერალები, რომელნიც ნამდვილ სიფხიზლეს სცვლიდნენ მყვირალა ფრაზებით.

განა შემთხვევითია, რომ პროპაგანდისტმა ნ. ტიმოფეევმა პოლიტსკოლის მეცადინეობაზე ხელი დააფარა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბანკის პირველად პარტორგანიზაციიდან მსმენელ ივანე ეროშკოვსკის კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ შეხედულებების განვითარებას, არ გაილაშქრა მის წინააღმდეგ და ამით არსებითად დაიცვა ის?

განა შემთხვევითია, რომ პარტაქტივის სურამის კურსების მსმენელმა აკაკი კობლაშვილმა (ტყიბულიდან) ტროცკისტ სიორდიას კონტრრევოლუციურ გამოსვლებისადმი აშკარად დამპალი ლიბერალური დამოკიდებულება გამოიჩინა, დაიცვა ის, ხოლო როცა ამ ხერხმა არ გასჭრა, შემდეგ იერიში მიიტანა კურსების საუკეთესო მსმენელებზე, რომელთაც გამოიჩინეს სიფხიზლე? რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის. ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ, თუ სადამდე მიგვყავართ ლიბერალიზმს მტრებისადმი.

ჩვენი პარტია, ლენინ-სტალინის პარტია ჰქმნის უდიდეს საქმეს—აშენებს ახალ კომუნისტურ სამყაროს. ჩვენს წინაშე უდიდესი ამოცანებია. პარტია წარმოადგენს შეგნებული რკინისებური პროლეტარული დისციპლინით შეკავშირებულ ერთიან მებრძოლ ორგანიზაციას, კომუნიზმის მთლიან და ერთადერთ პარტიას, რომელიც თავის რიგებში ერთ წუთსაც ვერ აიტანს მოღალატეებს, თვალთმაქცებს, მათთან შემარიგებლებსა და მეოცნებე მოლაყბეებს, რომელნიც ხელს უწყობენ მტრის დანაშაულებრივ მოქმედებას.

პარტია თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს სიფხიზლეს, შემტევ ბოლშევიკურ სიფხიზლეს მუშაობის რომელ უბანზედაც უნდა იყოს ის. ახლა მთავარია ბოლშევიკური სიფხიზლე, რომელიც დამახასიათებელი უნდა იყოს თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკისათვის.

როგორც ამას საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელი ამხანაგი ლავრენტი ბერია გვასწავლის, „კომუნისტებმა და კომკავშირელებმა სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ ყოველგვარ ვითარებაში, ყოველ უბანზე, პრაქტიკული მუშაობის ყოველ ნაბიჯზე და ყოველდღიურ ცხოვრებასა და ყოფაცხოვრებაში. კომუნისტებს, კომკავშირელებს და ყველა მშრომელებს უნდა შეეძლოთ მტრის გამოცნობა და გამოაშკარავება, რა რიგ ღრმადაც უნდა იყოს იგი კონსპირირებული“.

ფხიზლად ყოფნა — ეს ნიშნავს უპირველესად ყოვლისა შევისწავლოთ და ვიცოდეთ ადამიანები, რომელთანაც ვმუშაობთ. მთელი შეუპოვრობით უნდა შევებრძოლოთ და ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი არა მარტო შენიღბულ მტრებს — ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდის ნაბოლარებს, თვალთმაქცებს და ნაციონალისტებს,—არამედ დამპალ ლიბერალებს—შემარიგებლებსაც, მოლაყბეებსაც, ყოფაცხოვრებითი გახრწნილების მატარებლებსაც, ისეთ პირებს, რომელნიც მუშაკების შერჩევას საქმეზე ახდენენ არა საქმიანობის მიხედვით, არამედ შინაურულად და ძმაბიჭურად.

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმზე „ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის“ და პლენუმის რეზოლუცია „ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საანგარიშო მოხსენების გამო“—წარმოადგენს გაშლილი ბრძოლის სამოქმედო პროგრამას საქართველოს პარტორგანიზაციებისათვის. მის განსახორციელებლად მტკიცედ უნდა დაირაზმონ ყველა კომუნისტნი, კომკავშირელნი და მშრომელნი, უნდა გაამახვილონ რევოლუციურ-პარტიული სიფხიზლე მუშაობის ყველა უბანში.

დიდია ჩვენი მიღწევები და უსაზღვროა ჩვენი სიყვარული ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი, რომლის სახელიც ასახიერებს არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელ სახელოვან წარსულს, არამედ მის ბრწყინვალე მომავალს. ჩვენს წინ იშლება კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალები და კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე უნდა გვახსოვდეს დიდი სტალინის მითითება, რომ „...ნანას კი არ უნდა ვუმღეროდეთ პარტიას,—არამედ უნდა ვავითარებდეთ მასში სიფხიზლეს, კი არ უნდა მივაძინოთ იგი—არამედ ვიყოლიოთ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, კი არ უნდა განვაიარაღოთ, არამედ უნდა შევაიარაღოთ, მისი დემობილიზაცია კი არ უნდა მოვახდინოთ, არამედ ვიყოლიოთ იგი მობილიზაციის მდგომარეობაში მეორე ხუთწლედის განსახორციელებლად“.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს — ამხანაგ სტალინს
სსრ კავშირის სახკომსაბჭოს — ამხ. მოლოტოვს
თავდაცვის სახალხო კომისარიატს — საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. ვოროშილოვს
მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ორჯონიკიძეს

პატაკი

20 სექტემბერს მე ბორტმექანიკოს, 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოს ამხ. ლ. ი. შევერდინსკისთან ერთად, თვითმფრინავით „ანტ-6“, რომელზეც დადგმულია ოთხი მოტორი „ამ-34“, მოვახდინე გაფრენა 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე მაქსიმალური ტვირთის ატანის მსოფლიო რეკორდის გადასალახავად. მაქსიმალური ტვირთი, რომელიც ათ ტონას უდრიდა, 6 წლის წინათ აიტანა იტალიელმა მფრინავმა ანტონინიმ. მე ავიტანე, 12 ტონა ტვირთი.

გაფრენა დამოწმებულია სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისიის დადგენილებით.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საავიაციო ფედერაცია დაამტკიცებს ამ გაფრენის და წინა ორი გაფრენის (5 და 10 ტონა ტვირთით) შედეგებს, სიმაღლეზე ტვირთით გაფრენის ყველა არსებული საერთაშორისო რეკორდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იქნება.

განვაგრძობ მუშაობას ახალი სარეკორდო საავიაციო მიღწევათა დასამყარებლად.

მფრინავ-გამომცდელი მაიორი ა. იუმაშევი.

მოსკოვი, 1936 წ.
22 სექტემბერი.

მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების საოლქო ტაქტიკური სწავლება

სწავლების რაიონი, 22 სექტემბერი. დაიწყო მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების საოლქო ტაქტიკური სწავლება. საბრძოლო მოქმედება დღითიდღე უფრო და უფრო რთულდება. მიწაზე და ჰაერში გამართულ „ბრძოლებში“ მონაწილეობას იღებს ტექნიკური საშუალებების ყველა სახეობა.

სამი დღის განმავლობაში განუწყვეტელი სასწავლო „ბრძოლა“ მიმდინარეობდა. მოსკოვის სამხედრო ოლქის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები საბრძოლო სწავლების გამოცდას აბარებენ. ყველგან, სადაც კი გაიარა ჯარმა, მუშები და გლეხები მამობრივი სიყვარულითა და მზრუნველობით ხვდებოდნენ სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებულ დამცველებს. კოლმეურნეები ჯარის ნაწილების გავლის შემდეგ ასწორებდნენ გზებს, კულტურულ დასვენებას უქმნიდნენ მებრძოლებს.

ტაქტიკურმა სწავლებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ როგორ უყვართ და აფასებენ წითელ არმიას ჩვენს საბჭოთა კავშირში. წითელი არმიის და ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხის ამ რკინისებურ მთლიანობაშია ჩვენი საყვარელი დიადი სამშობლოს დაუძლეველი ძლიერება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი და სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. ე. ვოროშილოვი მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სწავლა-ვარჯიშობაზე

სწავლა-ვარჯიშობის რაიონი, 22 სექტემბერი. (საქ. დეპ. სააგენტოს საკუთარი კორესპონდენტისაგან). დღეს დილით ადრე ვიაზნიკის სადგურზე მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სწავლა-ვარჯიშობის რაიონში ჩამოვიდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. **მოლოტოვი.**

ამხ. მოლოტოვთან ერთად ჩამოვიდნენ საკ. კ.პ.(ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფილატოვი და სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისარი ამხ. პროკოფიევი.

ამხანაგები — მოლოტოვი, ვოროშილოვი, აგრეთვე ამხ. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ამხ. ტუხაჩევსკი და ეგოროვი, არმიის პირველი რანგის სარდლები ამხ. იაკირი, უბორევიჩი და ბელოვი, საკ. კ.პ.(ბ) ივანოვოს საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნოსოვი, საკ. კ.პ.(ბ) გორკის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. პრამნეკი, მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფილატოვი, გორკის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. მ. კაგანოვიჩი და სხვ. დაესწრნენ 2.200 პარაშუტისტის საჰაერო დესანტის გადმოსხმას სოფელ ვიეზდის რაიონში და დასაშვები დესანტის გადმოსხმას 3 ათასზე მეტი კაცის რაოდენობით.

ნაშუადღევს ამხანაგები მოლოტოვი და ვოროშილოვი მივიდნენ მე-3 მსროლელთა კორპუსის შტაბში, სადაც მოისმინეს კორპუსის სარდლის ამხ. კულიკის მოხსენება, შემდეგ დაათვალიერეს მე-14 და მე-17 მსროლელთა დივიზიები, მოსკოვის პროლეტარული მსროლელთა დივიზია, კალინოვსკის სახელობის ნაწილი და შუადამემდე თვალს ადევნებდნენ ნაწილების მოქმედებას. მოსახლეობა ყველგან გულთბილად ხვდებოდა ამხანაგ მოლოტოვისა და ვოროშილოვის გამოჩენას. (სდს)

2200 პარაშუტისტის საჰაერო დესანტი

სწავლების რაიონი, 22 სექტემბერი. ტაქტიკური სწავლების მთელმა მსვლელობამ, განსაკუთრებით უკანასკნელმა დღემ, გვიჩვენა უდიდესი წარმატებანი, რომლებსაც მიაღწიეს მოსკოვის სამხედრო ოლქის ნაწილებმა საბრძოლო ტექნიკის ათვისებაში.

22 სექტემბერს დილით „ლურჯების“ მე-14 მსროლელმა დივიზიამ „წითლების“ დაწოლის შედეგად უკან დაიხია მდინარე სუდოგშისკენ და შეუერთდა მე-17 მსროლელ დივიზიას, რომელიც წინადღით გადავიდა მდინარე კლიაზმაზე. „წითლების“ ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შეეჩერებიათ „მოწინააღმდეგის“ ძალების შემდგომი თავმოყრა და რაც შეიძლება მეტი ზარალი მიეყენებინათ მისთვის.

„წითლების“ სარდლობამ გადაწყვიტა მტრის ზურგში გადაესხა დიდი საჰაერო დესანტი, რომელსაც უნდა დაეპყრო „ლურჯების“ მდინარეზე გადასასვლელი ადგილები.

დილის 8 საათი და 30 წუთია.

სოფელ ვიეზდზე გამოჩნდა მოწინავე საჰაერო გემი. მას მიჰყვებოდა მძიმე თვითმფრინავების ორი რგოლი. ათეული შავი წერტილი მოსწყდა, ცის კამარას და ძირს დაეშვა.

უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს დესანტის გადასხმას საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი მოლოტოვი, თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხანაგი ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ამხ. ტუხაჩევსკი და ეგოროვი, სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისარი ამხ. პროკოფიევი, არმიის პირველი რანგის სარდლები ამხ. იაკირი, უბორევიჩი და ბელოვი, საკ. კ. პ. (ბ) ივანოვოს საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნოსოვი, საკ. კ.პ.(ბ) გორკის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. პრამნეკი, მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფილატოვი, გორკის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. მ. კაგანოვიჩი.

თვის ზეცითან დაეშვა პირველი პარაშუტისტი. მას მიჰყვა მეორე, მესამე... ისინი სწრაფად ითავისუფლებენ თავს პარაშუტისაგან, ჯგუფდებიან და ემზადებიან ბრძოლისათვის.

აქტიურად იწყებს მოქმედებას „ლურჯების“ ავიაცია, სწრაფად მიქროლავენ მიწისპირზე თვითმფრინავები და სროლას უტეხენ დაშვებულ პარაშუტისტებს. მაგრამ ამ უკანასკნელთა დასახმარებლად მიდის „წითლების“ ათეული გამანადგურებელი, რომლებიც იგერიებენ „ლურჯების“ საჰაერო თავდასხმას და პარაშუტით უშვებენ იარაღს საჰაერო დესანტისათვის.

8 საათსა და 45 წუთზე გამოჩნდა მძიმე თვითმფრინავთა მეორე ეშელონი, მას მოჰყვა მესამე, მეოთხე. მთელ ცას ათობითა და ასობით მამაცი პარაშუტისტები ეფინებიან.

საჰაერო დესანტის გადასხმა დამთავრებულია. ძირს დაეშვა 2200 პარაშუტისტი.

საპარაშუტო დესანტის უფროსი მაიორი პოპოვი მიდის ამხანაგ მოლოტოვთან და ვოროშილოვთან.

ისმის პატაკის გამოკვეთილი, მოკლე სიტყვები:

— ამხანაგო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარევ, საპარაშუტო რაზმი 2200 კაცის შემადგენლობით მიწაზე დაეშვა და იწყებს საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

ამხანაგი მოლოტოვი ეკითხება:

— ყველაფერი რიგზეა?

— დესანტის გადასხმა კარგად ჩატარდა ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარევ!

საპარაშუტო დესანტის გადასხმის შემდეგ ამხანაგები მოლოტოვი, ვოროშილოვი და ყველა დამსწრენი თვალყურს ადევნებდნენ ავიადესანტის დაშვებას, რომლებზედაც იმყოფებოდა 3 ათასზე მეტი მებრძოლი. ისინი გადმოყვანილ იქნენ „წითლების“ ზურგიდან თვითმფრინავებით 420 კილომეტრის მანძილზე საჰაერო დესანტის გასამაგრებლად და მოქმედების წარმატებით გასაშლელად „ლურჯების“ ზურგში. (სდს)

სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში

მდგომარეობა ფრონტებზე

ლონდონი, 22 სექტემბერი. როგორც მადრიდიდან იუწყებიან, სამხედრო სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ სამხრეთის ფრონტზე ბრძოლის დროს მოკლეს 3.056 მეამბოხე.

ჩრდილოეთის ფრონტზე მთავრობის 7 თვითმფრინავმა ყუმბარა დაუშინა ოვიედოს და მოსპო მეამბოხეთა ბატარეა.

არაგონიის ფრონტზე მთავრობის ჯარებმა წინ წაიწიეს 14-15 კილომეტრით. ხელთ იგდეს 7 ტყვიამფრქვევი და შაშხანები. კორდოვის პროვინციაში, მონტოროს სექტორში მთავრობის ჯარებმა ხელთ იგდეს სატვირთო მანქანები საომარი მასალითა და ტყვეებით.

ტალავერის სექტორში მთავრობის ჯარებმა მოიგერიეს მეამბოხეთა გააფთრებული იერიშები.

„დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტი, რომელმაც ტალავერის ფრონტი დაათვალიერა, აღნიშნავს, რომ ამ რაიონის გაუვალობა აძნელებს თავდაცვას. იტალიისა და გერმანიის თვითმფრინავთა ესკადრილიები განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარას ყველა სოფელს. თვითმფრინავები იმდენად სწრაფმავალი არიან, რომ მათ საშუალება აქვთ მიუახლოვდნენ დედამიწას და დაუშინონ ტყვიამფრქვევი მთავრობის ქვეითა ჯარს. მთავრობის ავიაცია იძულებულია იბრძოლოს არახელსაყრელ პირობებში, ვინაიდან მეამბოხეებს თვითმფრინავების რიცხვისა და მათი სისწრაფის მხრით უპირატესობა აქვთ.

„დეილი მეილის“ კორესპონდენტი, რომელიც ტალავერის სექტორში მეამბოხეთა შტაბთან იმყოფება, ამტკიცებს, მეამბოხეებმა ხელთ იგდეს მაკედა და სანტა ოლალია. მთავრობის ჯარები უკან იხევენ ჩრდილოეთისკენ.

როგორც სხვა კორესპონდენტები იუწყებიან, მეამბოხენი ტალავერის ფრონტზე თავს უყრიან შერჩეულ რაზმებსა და უძლიერეს ზარბაზნებს მადრიდის მიმართულებით შეტევის გასაჩაღებლად. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც მეამბოხეთა შტაბთან იმყოფება, იუწყება: ტალავერის სექტორში დასახული შეტევის ხელშესაწყობად მეამბოხეებს გამზადებული აქვთ 50 თვითმფრინავი.

როგორც გადმოგვცემენ, გუშინ მადრიდის თავზე დაფრინავდა მეამბოხეთა 25 თვითმფრინავი, რომელნიც ჰყრიდნენ მუქარის ფურცლებს. მეამბოხეთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიის მრავალი პუნქტიდან ჯარები იგზავნება ტალავერის ფრონტზე, რომ შეტევაში მონაწილეობა მიიღონ.

რეიტერის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი ფრონტების მდგომარეობის მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ მეამბოხეებს ამჟამად უკავიათ პოზიციები ნახევარწრედ მადრიდის მიმართ. წრის მეორე ნახევარი, — სწერს კორესპონდენტი, — ღიაა და ეს მთავრობას საშუალებას აძლევს კავშირი იქონიოს აღმოსავლეთით მდებარე სანაპირო რაიონებთან. მთავრობის ცდა მიმართული იქნება იქით, რომ მეამბოხეთ ხელი შეუშალოს დედაქალაქის გარემოცვაში.

ალკასარის სიმაგრეში (ტოლედოში) მეამბოხენი კვლავ გამაგრებული არიან. გუშინ მოგერიებულ იქნა სახალხო მილიციის რაზმთა სამი იერიში. ესპანეთის მთავრობის შეიარაღებულმა თევზსაჭერმა გემებმა, რომელნიც მალაგიდან გამოვიდნენ, ყუმბარები დაუშინეს ტორებლანკილიოს, აგრეთვე ტუნარას, ლა ლინეას აღმოსავლეთით. ტუნარაში ყუმბარის დაშენით დაზიანდა მეამბოხეთა ყაზარმები.

ბურგოსში ამტკიცებენ, რომ მეამბოხეებმა გვადარამის ფრონტზე ნუერნესის გასასვლელი დაიჭირეს, რაც მათ საშუალებას აძლევს გაბატონდნენ მადრიდ-სარაგოსის გზაზე. (საქდს)

◇

პარიზი, 22 სექტემბერი. „ეკო დე პარი“ აღნიშნავს, რომ მეამბოხეთა ავიაცია დახმარებას უწევს ფაშისტ იუნკრებს, რომელნიც გამაგრებული არიან ტოლედოს ალკასარში. ავიაცია მათ წყალსა და სურსათს აწვდის. თვითმფრინავებიდან მათთვის ჰყრიან სურსათისა და ყინულის ნაჭრებით სავსე ტომრებს. (საქდს)

◇◇

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე გამოყოფილ კომიტეტში

ლონდონი, 22 სექტემბერი. გამოქვეყნდა ცნობა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე გამოყოფილი საერთაშორისო კომიტეტის მესამე სხდომის შესახებ. სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ 26 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, წარმომადგენელნი.

ცნობაში ნათქვამია:

„კომიტეტმა განიხილა საფრანგეთის წარმომადგენლის მიერ წამოყენებული საკითხი — აკრძალულად ჩაითვალოს თუ არა აირწინაღთა შეტანა ესპანეთში. ყველა დღემდე მიღებული პასუხი გვიჩვენებს, რომ დაინტერესებულ მთავრობათა აზრით, არ არის აკრძალული აირწინაღების შეტანა ესპანეთში.

კომიტეტმა განიხილა იმ პროცედურის საკითხი, რომელიც უნდა იქნას მიღებული, თუ შემოვა საჩივარი ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების ჩაშლაზე. კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ასეთ შემთხვევაში მან უნდა შეამოწმოს და დაადგინოს ფაქტები. ამასთან ერთად კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ასეთი საჩივარი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მხოლოდ მაშინ, როცა მას განაცხადებს ის მთავრობა, რომელიც მონაწილეობდა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ დადებულ შეთანხმებაში და როცა ასეთი მთავრობა დარწმუნებული იქნება, რომ საჩივარი ემყარება შეთანხმების ჩაშლის დამამტკიცებელ ურყევ ფაქტებს. (საქდს)

უარყოფა ცნობისა ესპანეთში საბჭოთა თვითმფრინავების მიტანის შესახებ

მადრიდი, 22 სექტემბერი. ესპანეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „მთავრობის მეთაურამდე და სამხედრო სამინისტრომდე მოაღწია ცნობებმა, რომ ერთი ინგლისური გაზეთი ამტკიცებს, თითქოს ბარსელონაში მოვიდა საბჭოთა წარმოების 200 თვითმფრინავი, რომელთაგან 25 თვითმფრინავი, იმავე ცნობის თანახმად, გაიგზავნა მადრიდში. მთავრობის მეთაური აცხადებს, რომ ეს ცნობა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს“. (საქდს).

ამხ. ს. ა. კუდრიავცევი არჩეულია უკრ. კ. პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად

ხარკოვი, 21 სექტემბერს შესდგა უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტის XII პლენუმი.

საოლქო კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად გადაწყვიტა შეიყვანოს საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში, აირჩიოს ბიუროს წევრად და უკრაინის კ.პ.(ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად დაამტკიცოს ამხ. **ს. ა. კუდრიავცევი** და საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად ამხ. **მ. ი. ლიტვინი.**

პლენუმმა მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პარტიის ბელადს ამხანაგ **სტალინს** და მისასალმებელი წერილი — უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ-ს — ამხანაგებს **კოსიორსა** და **პოსტიშევს.**

ამხ. ს. კუდრიავცევის უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით, პლენუმის სახელზე მიღებულ იქნა და მქუხარე ტაშით გამოქვეყნდა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ სამხარეო კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის დეპეშა, მიმართული უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტისა და ხარკოვის ოლქის ბოლშევიკებისადმი.

უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტს, ხარკოვის ოლქის ბოლშევიკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ხარკოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში სამუშაოდ წამოყენებულია და უკრაინის კ.პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმის მიერ პირველ მდივნად არჩეულია ამხანაგი სერგეი ალექსანდრეს-ძე კუდრიავცევი.

ბოლშევიკური მუშაობის წლები ამხ. ს. კუდრიავცევს აკავშირებს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ორგანიზაციასთან, ამიერ-კავკასიის ნაციონალურ რესპუბლიკათა მშრომელებთან.

იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ბელადის ამხანაგ **სტალინის** მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად, — ამხ. კუდრიავცევი ახმარდა მთელ თავის ენერგიას თვალსაჩინო ბოლშევიკ-ორგანიზატორისას, გვიჩვენებდა პარტიის გენერალური ხაზისადმი, მისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების ნიმუშებს.

ამხანაგ ს. კუდრიავცევს მრავალეროვანი მხარის რთულ პირობებში თავისი მუშაობის მთელ მანძილზე ახასიათებდა ბოლშევიკური პრინციპულობა და თანმიმდევრობა, სიფხიზლე და შეურიგებლობა ულმობელ ბრძოლაში პარტიის ხაზიდან გადახრებთან, დიდმპყრობელობითი შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან.

უკანასკნელი წლების მანძილზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში გაიზარდნენ და ხელმძღვანელობისათვის წინწამოიდგნენ მუშაობის სტალინური სტილის ნიმუშებზე აღზრდილი ახალი კადრები.

ამ კადრების მოწინავე რიგებში ერთერთი წამყვანი ადგილი სამართლიანად უჭირა ამხ. ს. კუდრიავცევს—მტკიცე პარტიულ ხელმძღვანელსა და საუცხოო ბოლშევიკ ორგანიზატორს.

პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივნის პასუხსაგებ პოსტზე ყოფნისას ს. კუდრიავცევი წარმატებით ახორციელებდა პრაქტიკულ მოქმედებად პარტიის თვითეულ დირექტივასა და მითითებას ისე, რომ კონკრეტული ბრძოლა დირექტივის შესრულებისათვის კიდევ უფრო მჭიდროდ და უფრო მტკიცედ რაზმავდა პარტიულ ორგანიზაციათა კადრებს, განამტკიცებდა მათი რიგების მონოლითობას.

ამ წარმატებას უზრუნველჰყოფდა ამხ. ს. კუდრიავცევის ბოლშევიკური თვისებანი, მისი განსაკუთრებული უნარი მკაფიოდ მოეწყო მუშაობა, აღეჭურვა საქმის ბოლშევიკური გაგებით. მისი უნარი ჩასწვდომოდა ყველა დეტალს და შეეთავსებინა სასტიკი პრინციპულობა და მომთხოვნელობა ადამიანებისადმი გულისხმიერ და მზრუნველ დამოკიდებულებასთან.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს თვისებანი კიდევ უფრო მეტი სიძლიერით გაიშლებიან იმ ახალ უაღრესად პასუხსაგებ და საპატიო სამუშაოზე ხარკოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში, რომელზედაც პარტია ამხანაგ ს. კუდრიავცევს ჰგზავნის.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი, საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკთა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები ღრმა რწმენას გამოსთქვამენ, რომ ხარკოვის მოწინავე ოლქის ბოლშევიკები, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ერთგული რაზმი, იძენენ რა ამხ. ს. კუდრიავცევის სახით ღირსეულ ხელმძღვანელს, კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ თავის მუშაობაში.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი ხარკოვის ბოლშევიკებს და მათს მებრძოლ შტაბს, პარტიის საოლქო კომიტეტს, მხურვალე სალამი უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს, მის ნაცად ხელმძღვანელებს, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლთ ამხანაგებს **ს. კოსიორსა** და **პ. პოსტიშევს,** რომელთა ხელმძღვანელობითაც აყვავებული საბჭოთა უკრაინა ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებისაკენ მიემართება.

**საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ სამხარეო კომიტეტის ბიურო.
საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ბიურო.
აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ბიურო.
სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ბიურო.**

◇ ◇ ◇

„ტანი“ გერმანიის ექსპანსიის შესახებ ევროპაში

პარიზი, 22 სექტემბერი. „ტანი“ მოწინავე სტატიაში ხაზს უსვამს გერმანიის დიპლომატიის აქტივობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამასთან გაზეთი, კერძოდ ჩერდება იმაზე, რომ ამასწინათ ბერხტესგადენში ჩავიდა უნგრეთის რეგენტი ხორტი და რომ ნეირატი გაემგზავრა ბუდაპეშტს, გებელსი კი — ათინას.

გერმანიის მთავრობის ნამდვილი მიზანი, — სწერს გაზეთი, — ეს არის მისწრაფება, რომ უზრუნველჰყოს თავისი გავლენა უნგრეთში, აგრეთვე მცირე და ბალკანეთის ანტანტის ქვეყნებში. „ყველაფერი ეს, — აღნიშნავს „ტანი“, — ალბათ ნაკარნახევია ძირითადი სურვილით — მოამზადონ ახალი შეტევა აღმოსავლეთით და აგრეთვე გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ჰეგემონია შუაევროპაში. გერმანიის საქმიანობა ნაკარნახევია მისწრაფებით—აიძულოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უარი სთქვან საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაზე. ნიურნბერგში წარმოთქმულმა სიტყვებმა საკმაოდ დაამტკიცეს, რომ მესამე იმპერიის ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა მისტიკა სუსტად ჰფარავს მის იმპერიალისტურ მიზნებს, რომელნიც სრულიადაც არ განსხვავდებიან იმ მიზნებისაგან, რაც 1914 წლის მსოფლიო ომის მიზეზი გახდა“. (საქდს)

თქვენთან ვართ ესპანეთის გმირულო ხალხო!

ესპანელ ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად

სახბანკის მექანიზებული აღრიცხვას 32 მუშა-ქალმა ესპანეთის ქალთა და ბავშვთა სურსათით დახმარების ფონდში შეიტანა 400 მანეთი.

ტფ. მარმარილოს წარმოების მუშა ქალებმა შეიტანეს 34 მანეთი. ჩოთქების ფაბრიკის მუშა-ქალებმა გადასდეს 175 მანეთი, „გასტრონომის" ბულკებისა და ხაკონდიტრო ნაწარმის კოლექტივმა — 325 მანეთი. ქართული სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა — 88 მანეთი, საბინაო ამხანაგობა „ევერიოდმა" — 63 მანეთი, მე-6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა 895 მანეთი, სტალინის რაიონის მეეზოვეებმა — 600 მანეთი, სტალინის რაიონის შინა მოსამსახურე ქალებმა—350 მანეთი. მე-3 საჩვენებელი სკოლის პედაგოგებმა შეაგროვეს 215 მანეთი.

სახ. ბანკის ხაშურის განყოფილების თანამშრომლებმა გადასდეს 280 მანეთი. დაწყებულია სახსრების შეგროვება ხაშურის აგურისა და კირის ქარხნებში და სავაჭრო - კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

კომუნალური და საბინაო მშენებლობის პროფკავშირში გაერთიანებულმა მუშებმა ესპანელ ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად შეაგროვეს 15.788 მანეთი.

სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ისპანიაში.
სურათზე: მეამბოხეთა ტანკი, წართმეული მთავრობის ჯარების მიერ მადრიდის ფრონტზე.

დონბასის ორდენოსან სტახანოველთა წერილი ესპანეთის ხალხს

— ამხანაგო მუშებო და მუშა-ქალებო!

უდიდესი ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს თქვენს გმირულ ბრძოლას ფაშისტ ძაღლებთან, რომლებიც ცდილობენ აღადგინონ სისხლიანი ინკვიზიციის დრო და სისხლში ჩაახშონ თქვენი მიწა, თქვენი სახლკარი.

რეაქციის შავი ძალები გაერთიანდნენ ერთი დროშის ქვეშ, რომლის სახელია — ფაშიზმი. მას მოაქვს სიკვდილი, შიმშილობა და ხვრეტა.

თვითეული ცნობა თქვენი გამარჯვების შესახებ, თქვენი გმირობისა და სიმამაცის შესახებ, სიხარულით ავსებს ჩვენს გულს, ფაშისტი ჯალათების მხეცური მოპყრობა ესპანეთის რესპუბლიკის უიარაღო მოსახლეობასთან, თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნისათვის მებრძოლებთან ჩვენი სამშობლოს 170 მილიონიანი ხალხის აღშფოთებას და სიძულვილს იწვევს.

ამ მძიმე მომენტში ჩვენ ძმური დახმარებისა და სოლიდარობის ხელს გიწვდით თქვენ.

ჩვენო კლასობრივო ძმებო! ხანძარში, პროლეტარების და გლეხების წმინდა სისხლში იბადებოდა დიადი საბჭოთა ხალხის თავისუფლება. სისხლს ღვრით რა ბარიკადებზე, მსხვერპლად იღებთ რა ესპანეთის ხალხის საუკეთესო შვილების სიცოცხლეს, თქვენ ასეთივე თავისუფლებისათვის იბრძვით.

ჩვენ გვწამს თქვენი გამარჯვება, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სიმართლე გაიმარჯვებს. ჩვენ მოწოდებით მივმართავთ მთელი მსოფლიოს მშრომელებს გამოეხმაურონ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინადადებას და მატერიალური დახმარება გაგიწიონ თქვენ, თქვენს ცოლებს, დედებს და ბავშვებს. მხურვალე სტახანოვურ სალამს გიძღვნით ჩვენ, დონბასის ორდენოსნები, ესპანეთის დიად ხალხს და მის მთავრობას.

გაუმარჯოს ფაშიზმის წინააღმდეგ ერთიან სახალხო ფრონტს მთელს მსოფლიოში!

ალექსი სტახანოვი, მირონ დიუკანოვი, კონცედალოვი, პაშა ანგელინა, პუშკინი, ოსტროგლიადი.

სტალინო—22 სექტემბერი.

ორდენოსან მუშა ქალის პეტრენკოს წერილი დოლორეს იბარურის

— ძვირფასო ამხანაგო დოლორეს იბარური!

მე, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, გულის ფანცქალით და ინტერესით შევსცქერი ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლას გამხეცებულ ფაშიზმთან. გულში ცეცხლი და ღრმა აღშფოთება ინთება ფაშისტური არამზადების წინააღმდეგ, რომლებიც ასობით ხვრეტენ მუშებს, ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს.

მე ამას წინათ გაზეთში წავიკითხე თქვენი წერილი ქალების გმირული ბრძოლის შესახებ ფაშიზმის წინააღმდეგ. გული სიხარულით ივსება, როდესაც გაზეთებში კითხულობ ესპანეთის ხალხის ქალიშვილების სიმამაცისა, უშიშრობისა და გმირობის ამბავს, — იმ ქალიშვილებისა, რომლებიც ქმრებთან, ძმებთან და მამებთან ერთად იცავენ ესპანეთის ხალხის თავისუფლებას.

მე მინდა გიამბოთ თქვენ, ძვირფასო დოლორეს, ჩემი ბედნიერი ცხოვრების შესახებ საბჭოთა კავშირში.

მე 56 წლისა ვარ. 36 წელიწადია საბაგირო ქარხანაში ვმუშაობ. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დავიწყე ხალისიანი სიცოცხლით ცხოვრება. ამ დრომდე შიმშილს, ექსპლოატაციას და უუფლებობას განვიცდიდი.

გადავაგდეთ რა კისრიდან სისხლისმსმლების უღელი, მოვიგერიეთ რა გენერლების და უცხო კაპიტალისტების ყველა თავდასხმა, ჩვენ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შევუდექით ახალი ცხოვრების მოწყობას და მოვაწყვეთ კიდეც იგი.

მე, ხანშიშესული ქალი, სამი წლის წინათ დაჯილდოვებული ვარ შრომის წითელი დროშის ორდენით. მე არ ვგრძნობ სიბერეს, ვმუშაობ იმავე საამქროში, როგორც წინათ. მაგრამ განა შეიძლება ჩვენი თავისუფალი შრომის შედარება წინანდელ შრომასთან? ჩვენს საამქროში სისუფთავეა. ვმუშაობ 7 საათს, ყოველწლიურად უმრავლესობა ჩვენი მუშებისა ისვენებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

ჩვენ, საბჭოთა ქალები, მთელი არსებით თქვენთან ვართ და მზად ვართ დახმარება გაგიწიოთ თქვენს ბრძოლაში.

ჩვენ, საბაგირო ქარხნის ქალებმა, 11 ათასი მანეთი შევაგროვეთ, რომ ვიყიდოთ თქვენთვის სურსათი.

დე, ჩვენგან მიღებული სურსათი მოაგონებდეთ თქვენ, რომ ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თქვენს გმირულ ბრძოლას და გისურვებთ სწრაფად გამარჯვებას.

ჩვენ არასოდეს არ მიგანებებთ თავს გაჭირვებაში, ესპანელო დებო. გახსოვდეთ ეს და იბრძოლეთ გამარჯვებამდე.

ხარკოვის საბაგირო ქარხნის ორდენოსანი სტახანოველი:

ნატალია პეტრენკო.

ხარკოვი, 23 სექტემბერი.

დავეხმაროთ ესპანეთის გმირ ხალხს

მოსკოვი, 22 სექტემბერი. მთელ საბჭოთა კავშირში დიდი აღფრთოვანებით გრძელდება თანხების შეგროვება ესპანეთის გმირი ხალხის დასახმარებლად. „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" მუშა-ქალების შესანიშნავ ინიციატივას გამოეხმაურნენ დიადი სოციალისტური სამშობლოს მილიონობით მშრომელები.

კოლომნის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა კოლექტივმა მოკლე ვადაში შეაგროვა 6 ათასი მანეთი ესპანეთის მებრძოლი მუშებისათვის სურსათის საყიდლად. მუშებმა სურვილი გამოსთქვეს აღსაზრდელად აიყვანონ 10 ობოლი ბავშვი, რომელთა მშობლები გამხეცებულ ფაშისტებთან ბრძოლაში დაიღუპნენ.

კაგანოვიჩის სახელობის ბურთოსაკისურების ქარხნის კოლექტივმა ესპანეთის ხალხის ფონდში შეაგროვა 60 ათასი მანეთი.

კიროვის სახელობის „დინამოს" ქარხნის კოლექტივმა 21 სექტემბრამდე შეაგროვა 13.800 მანეთი.

◇ ◇ ◇

კაბალიერო ჩავიდა ტოლედოში

მადრიდი, 22 სექტემბერი. უკანასკნელ ცნობებში ალკასარს არ იხსენიებენ. იუწყებიან, რომ მთავრობის მეთაური კაბალიერო გუშინ ტოლედოს ჩავიდა. (საქდს)

„მტერი უნდა დავამარცხოთ..."

ესპანეთის კომპარტიის მადრიდის საოლქო კომიტეტის მოწოდება

მადრიდი, 22 სექტემბერი. ესპანეთის კომპარტიის მადრიდის საოლქო კომიტეტმა გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება:

„დემოკრატიული რესპუბლიკის გმირულ დაცვაში მადრიდის ხალხი უდიდეს როლს თამაშობს. თავისი გმირობითა და მამაცობით იგი საშუალებას არ აძლევს ფაშისტ არამზადებს განახორციელონ მადრიდის — ბრძოლის ამ გადამწყვეტი პუნქტის — ხელში ჩაგდების სისხლიანი გეგმები. მტერმა დღემდე ვერ შესძლო და ვერც შესძლებს ამ მიზნის მიღწევას, მაგრამ იგი მაინც არ ჰკარგავს იმედს თავისი სისხლიანი თათი დაადოს სახალხო და გმირულ მადრიდს, ამისათვის იგი ჩრდილოეთით, მთებში და განსაკუთრებით ტალავერასთან თავს უყრის ყველაზე სასტიკ და სისხლისმსმელ ურდოებს, შედგენილთ მოტყუებული მაროკოელებისა და ბოროტმოქმედი დაქირავებული აგენტებისაგან, რომელნიც თავიანთ თავს ესპანელებს უწოდებენ და საერთაშორისო ფაშიზმის ინტერესებისათვის იბრძვიან.

რაზმელნო, რესპუბლიკელო ჯარისკაცნო, მადრიდის გმირო ხალხო! საჭიროა კიდევ ერთი გაბრძოლება, საჭიროა კიდევ უფრო მეტი სიმამაცე და გმირობა!

ჩვენ უნდა დავამარცხოთ მტერი, შეუბრალებლად მოვსპოთ იგი!

არავითარი მერყეობა და დაეჭვება! უნდა მოვსპოთ არამზადა ფაშისტ-ოფიცრების ბრბო ტალავერის ფრონტზე და ჩრდილოეთის მთებში

მადრიდის ხალხო, აღსდექ ამ დიადი ამოცანის შესასრულებლად!

ყველაფერი ამ გამარჯვებისათვის! თავისუფლებისა და პროგრესის მტერთა განადგურება ტალავერის ფრონტზე და ჩრდილოეთის მთებში გიგანტური ნაბიჯი იქნება სრული თავისუფლების გზაზე.

შევძლებთ თუ არა გავიმარჯვოთ? დიახ შევძლებთ. თუ ამ ფრონტზე თავს მოვუყრით ჩვენს გმირ რაზმელებსა და რესპუბლიკის ჯარისკაცებს, თუ ისინი ჩაებმებიან ბრძოლაში დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დაღუპულ ამხანაგებზე ფიქრით გამსჭვალულნი; თუ ბრძოლაში გავეშვებით ენტუზიაზმითა და მზად ვიქნებით, რომ შევწიროთ ყველაფერი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რათა ჩავფუშოთ დამნაშავეთა, მძარცველთა, ბარბაროსთა ბანდის გეგმები; თუ სრული ნდობით მოვეპყრობით სახალხო მთავრობას და იმ ადამიანებს, რომელნიც ანტიფაშისტურ ძალებს სარდლობენ, თუ ტალავერისა და სიერის ფრონტებზე რკინის დისციპლინას დავამყარებთ— გამარჯვება ხალხისა იქნება". (საქდს)

პროპსემინარების მუშაობის შესახებ

კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, როგორც ცნობილია, ძირითადად დამოკიდებულია პროპაგანდისტთა მომზადებასა და მათი მუშაობის ხარისხზე.

საქ. კ.პ.(ბ) ტფილისის ორგანიზაციას მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, მან გადალახა ორგანიზაციული დეფექტები და უზრუნველყო წრეების შეუფერხებელი მუშაობა. იგი სისტემატიურად მუშაობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის და აჰყავს იგი უფრო მაღალ საფეხურზე.

გადამწყვეტ პირობებს, რომლებიც ამ მუშაობის წარმატებას განსაზღვრავენ, წარმოადგენს პროპაგანდისტთა გულმოდგინედ შერჩევა საუკეთესო შემოწმებული პარტიული აქტივიდან, სისტემატური მუშაობა მათი იდეური დონის ამაღლებისა და პოლიტწრეებში მეცადინეობის მეთოდების გაუმჯობესებისათვის.

პროპაგანდისტთა სემინარები ამ მხრივ თვალსაჩინო როლს თამაშობენ. ტფილისის ორგანიზაციაში პროპსემინარების მუშაობის გამოცდილებამ მთლიანად და სავსებით გაამართლა თავისი თავი.

სემინარში პროპაგანდისტები ღებულობენ საჭირო თეორიულ და მეთოდურ ცოდნას და მასალების დამოუკიდებლად დამუშავების დროს მათი უმრავლესობა უზრუნველყოფდა ჯეროვანი დონით მეცადინეობის ჩატარებას.

როგორც ცნობილია, 1935 წლის ოქტომბრიდან ყველა პოლიტწრე განსაზღვრული გეგმით მუშაობდა. სემინარებში სწარმოებდა მზადება მორიგი თემებისათვის. ეს საგრძნობლად აადვილებდა პროპსემინარის ხელმძღვანელთა მუშაობას სემინარის ყველა მსმენელის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ, მაგრამ მას შემდეგ, რაც თვითეული წრისათვის შემოღებულ იქნა ინდივიდუალური გეგმები, შესასწავლი თემები ძალიან აჭრელდა: მაგალითად, ლენინის რაიონში საქ. კ.პ.(ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელ სემინარში 14 წრეში უკანასკნელ მეცადინეობაზე გაიარეს VIII თავი (კნორინის სახელმძღვანელოთი), 9 წრეში —IX თავი, მეორე წრეში — X თავი.

კიროვის რაიონში 12 წრეში გაიარეს თემა: „პარტია პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში", 7 წრეში—„პარტია ოქტომბრის გზებზე", 7 წრეში — „იმპერიალისტური ომის პერიოდი", 5 წრეში —„ახალი ეკონომიური პოლიტიკა", 5 წრეში —„რეაქციის წლები", 4 წრეში — „აღდგენითი პერიოდი" და სხვ.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ტფილისის ორგანიზაციის ყველა რაიონში.

ასეთი მდგომარეობის დროს მორიგი თემებისათვის მზადება შეუძლებელი გახდა.

ამიტომ დაისვა საკითხი, რათა გარდაგვექმნა პროპსემინარების მუშაობა შეცვლილ ვითარებასთან დაკავშირებით.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის ბიურო ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში სემინარების წინაშე ამოცანად სახავს „გაძლიერონ პროპაგანდისტთა საერთო თეორიული და მეთოდური მომზადება სათანადო პოლიტწრეების პროგრამების მიხედვით", და პროპსემინართა ხელმძღვანელებს აკისრებს „წაიკითხონ კვალიფიციური ლექციები ამ პროგრამების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე".

ამგვარად, პროპსემინარები მორიგი თემებისათვის მზადებიდან გადადიან იმ პროგრამების უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავებაზე, რომელთა მიხედვითაც პროპსემინართა ხელმძღვანელები კვალიფიციურ ლექციებს კითხულობენ. ამასთან ლექციების თემებს წინასწარ ამუშავებს ტფილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდის განყოფილება, რაც უზრუნველყოფს მათ ორგანიზებულ კითხვას ყველა რაიონში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროპსემინარის მეცადინეობის ერთიან დღეებში (ყოველი თვის 5, 15 და 26 რიცხვს) წაკითხული იქნება ლექციები ერთსადაიმავე თემებზე. ლექციების თემებს ყოველთვის განსაზღვრავენ რაიკომები იმ თემებთან შეფარდებით, რომლებსაც ამუშავებენ პოლიტწრეების უმრავლესობაში, რომლებსაც მოცემული პროპსემინარი აერთიანებს.

ამასთან იბადება კითხვა. რა ვუყოთ იმ პროპაგანდისტებს, რომლებიც გასცილდნენ მოცემულ თემას, ან ჩამორჩნენ მას? ეს საკითხი ტფილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით გადაჭრილია შემდეგნაირად: მეცადინეობის ხანგრძლივობა პროპსემინარებში გადიდებულია 2-დან 4-დე აკადემიური საათით. პირველი ორი საათი გამოყენებული იქნება ლექციების წასაკითხავად, ხოლო დანარჩენი ორი საათი იმისათვის, რომ მეთოდური მითითებანი და კონსულტაციები მისცენ დანარჩენ პროპაგანდისტებს მორიგი თემებისათვის. ამიტომ პროპსემინარის მეცადინეობის, მეორე ორი საათი უზრუნველყოფს სათანადო კონსულტაციების მიცემას პროპაგანდისტებისათვის. ამასთან პროგრამების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კვალიფიციური ლექციების მოსმენის შედეგად ისინი აამაღლებენ თავიანთ იდეურ დონეს მთლიანად პროგრამის მიხედვით.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ იზრდება თვითეული პროპაგანდისტის როლი თემის მომზადებაზე დამოუკიდებელი მუშაობის საქმეში და აქ მათ უნდა დაეხმარონ ჩვენი რაიკომების პარტკაბინეტები, რომლებიც ვალდებული არიან სისტემატიური მეთოდური დახმარება აღმოუჩინონ პროპსემინარებს, მეთოდური დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებს და მისცენ მათ სათანადო [illegible].

პროპსემინარების ხელმძღვანელებს ეკისრებათ შეამოწმონ ადგილებზე პროპაგანდისტთა მეცადინეობა, პროპსემინარის წინაშე განსახილველად გამოიტანონ მათი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. სამწუხაროდ, ჩვენი პროპსემინარები ამ საქმეზე ჯეროვნად არ მუშაობენ და ეს იმ დროს, როცა პროპსემინარის მეცადინეობაზე ამა თუ იმ პროპაგანდისტის მუშაობის მეთოდის ყოველმხრივ განხილვა ხელს შეუწყობს პროპაგანდისტთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

საქ. კ.პ.(ბ) ტფილისის ორგანიზაციის ყველა რაიონში მოწყობილი იყო (უმაღლესი სასწავლებლებისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების პარტორგანიზაციების გამოკლებით) სხვადასხვა ტიპის პოლიტწრეებს 27 პროპსემინარი: საქ. კ.პ.(ბ) ისტორიის შესწავლის მაღალი ტიპის წრეები, საქ. კ.პ.(ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შესწავლის წრეები, პოლიტსაუბრებისა და პოლიტმცოდნეობის წრეები.

პოლიტწრის თვითეული ამ სახის მიხედვით მოწყობილი იყო პროპსემინარი. თუ კიდევ მხედველობაში მივიღებთ ენობრივ პრინციპს, მაშინ პროპსემინართა ოდენობა გაორკეცდება. ასეთი მდგომარეობის დროს ზოგიერთი პროპსემინარის შემადგენლობაში ირიცხებოდა 4-5 კაცი (მაგალითად, ლენინის რაიონში), ხოლო ფაქტიურად ზოგჯერ მეცადინეობას ესწრებოდა 2-3 კაცი.

პროპსემინართა ასეთი მეტისმეტი დანაწილების ლიკვიდაციის მიზნით, ტფილისის კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ერთ სემინარში ერთიანდებიან საქ. კ.პ.(ბ) ისტორიის შესწავლის მაღალი ტიპის პოლიტწრეები და საქ. კ.პ.(ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შესწავლის წრეები; ერთიანდებიან პოლიტმეცადინეობის და პოლიტსაუბრების წრეები. დანაწილება რჩება მხოლოდ ენობრივი პრინციპის მიხედვით.

რაც შეეხება ლენინიზმის, საქ. კ.პ.(ბ) ისტორიის დედნების მიხედვით შემსწავლელ წრეებს და მიმდინარე პოლიტიკის წრეებს, გადაწყდა რაიონებში მათი მცირერიცხოვნობის გამო — გაერთიანდნენ საქალაქო მასშტაბით, ამასთან მოეწყოს მათთვის პროპსემინარები ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლთან.

ამგვარად, პროპსემინარების მუშაობაში შეტანილია გარკვეულობა, მოცემულია გარკვეული დირექტივები.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა პროპაგანდისტი ესწრებოდეს პროპსემინარის მუშაობას, ძლიერდეს მეცადინეობისათვის მათი მზადების შემოწმება და სისტემატიური დახმარება გაეწიოს პროპსემინარების მუშაობას. იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროპსემინარის მუშაობას, მოწმობს ის გარემოება, რომ ტფილისის კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება პროპსემინართა მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობას რაიკომების მდივნებს აკისრებს.

პროპსემინარების მუშაობის შესახებ ტფილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილების რეალიზაციით ტფილისის ორგანიზაცია მიაღწევს პარტიული განათლების შემდგომ გაუმჯობესებას და დააყენებს მას ახალ საფეხურზე.

ი. რუხაძე.

ლ. გოლდშტეინი

ფაშისტური გერმანიის კოლონიური ავანტიურები*)

ესპანეთის მშრომელთ, რომელნიც გმირულად იცავენ თავიანთ თავისუფლებას, დამიზნებული აქვთ გერმანიის სამხედრო გემების შორსმსროლი ზარბაზნები. ნადავლის მომლოდინე სვავებივით უთვალთვალებენ ეს გემები ესპანეთის ნაპირებს. სახაზო ხომალდები, ჯავშნოსნები, კრეისერები, რომელნიც ატარებენ კაიზერის იმ ადმირალთა სახელებს, ვინც ამაოდ ცდილობდა სახელი მოეხვეჭა ზღვაზე, ან იმ ძველ, დიდიხნის დამარხულ, გემთა სახელებს, რომელნიც ოდესღაც იოლი კოლონიური ნადავლისათვის კამერუნის ნაპირებთან დასცურავდნენ, — თავისი იქ ყოფნით არა მარტო ამხნევებენ მეამბოხეებს, არამედ რეალურ დახმარებასაც უწევენ მათ: იცავენ მათს საკომუნიკაციო ხაზებს, აქტიურ კავშირს აბამენ მათთან, იცავენ მათ მიერ დაკავებულ ნავსადგურებს ესპანეთის მთავრობის სამხედრო ფლოტისაგან.

გერმანიის ფლოტი კვლავ აფრიკის ნაპირებთანაა! ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილს ჰიტლერელები ალბათ, უკვე მიაკუთვნებენ გერმანიის საშინაო წყლებს. ყოველ შემთხვევაში, სეუტასა თუ ტეტუანში ჰიტლერის კრეისერები ისე თავისუფლად გრძნობენ თავს, თითქოს ესპანეთის მაროკოს მთელი ის ნაპირი, რომელიც მეამბოხეთ უპყრიათ, ბ-ნ ჰიტლერის სამფლობელო გამხდარიყოს.

გერმანიას დააგვიანდა, როცა ხდებოდა კოლონიების დაყოფა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს მან ისიც დაჰკარგა, რისი მოტაცებაც ასე თუ ისე კიდევ მოასწრო. **რამონ ფრანკოს აჯანყებამ გააცხოველა გერმანიაში კოლონიურ ფრონტზე რევანშის ოცნებანი.** ესპანელ ფაშისტთა ამბოხებაში იმპერიალისტურმა გერმანიამ დაინახა შესაძლებლობა — არა მარტო განამტკიცოს თავისი გავლენა პირენეის ნახევარკუნძულზე, არა მარტო მოკავშირე გაიჩინოს საფრანგეთის წინააღმდეგ ომში, რომელსაც იგი ამზადებს, და კონტროლი გაუწიოს საფრანგეთისა და მისი აფრიკული კოლონიების ერთმანეთთან დამაკავშირებელ გზებს, **არამედ დაინახა შესაძლებლობაც მოეჭიდოს აფრიკის პატარა ნაჭერს, რათა შემდეგ ხელთ იგდოს დიდი ნადავლი.**

გერმანიას დააგვიანდა, როცა აფრიკის დაყოფა ხდებოდა. აფრიკის გარშემო შექმნილი ციებ-ცხელება გერმანიას მხოლოდ გასული საუკუნის 70-იან წლებში მოედო. როცა ინგლისი და საფრანგეთი აფრიკაში უკვე ვეებერთელა სამფლობელოებს ჰფლობდნენ, კოლონიური პოლიტიკის გერმანელი მქადაგებელნი — გეოგრაფოსი გერმან ვაგნერი და მოგზაური ჰერჰარდტ როლფსი მხოლოდღა იწყებდნენ ყვირილს იმ აფრიკის ოქროს ვერძზე, რომელიც ვითომ გერმანიის ბატონობაზე ოცნებობდა, ხოლო გეოგრაფი იანაში ის-ის იყო აარსებდა „ცენტრალურ კავშირს სავაჭრო გეოგრაფიის შესასწავლად".

განსაკუთრებული ნდობით შესცქეროდა ახალგაზრდა კოლონიური იმპერია **მაროკოს**. ეგრედწოდებულ „მაროკოს საკითხში" მისი პოზიცია თავდაპირველად იმაში მდგომარეობდა, რომ უზრუნველეყო მაროკოში „ღია კარი" თავისი ვაჭრობისათვის. იგი ცდილობდა შესულიყო იმ სახელმწიფოთა წრეში, რომელნიც მაროკოს საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავდნენ. მაგრამ ვერც მადრიდის 1888 წლის კონფერენციამ, ვერც ალჟესირასის 1906 წლის კონფერენციამ მას სასურველი შედეგები ვერ მოუტანეს.

საფრანგეთი, ინგლისთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ენერგიულად შეიჭრა მაროკოში. გერმანიის დიპლომატია ცდას არ აკლებდა, რომ ამისათვის წინააღმდეგობა გაეწია. გერმანიამ ისლამის მეგობრად და მფარველად გამოაცხადა თავი. მისი დაჟინებითი მოთხოვნით მაროკოს სულთანმა აბდ-ელ-აზისმა უკუაგდო რეფორმების ფრანგული გეგმა, რომელიც ჰფარავდა საფრანგეთის პროტექტორატის განმტკიცებას მაროკოზე. გერმანიამ განაცხადა, მაროკოს სუვერენიტეტის შენარჩუნება აუცილებელიაო. მისი მიზანი იყო „დაეცვა" მაროკო საფრანგეთისაგან, რათა ეს მდიდარი ქვეყანა თვითონ შეენარჩუნებინა.

1911 წლის 3 ივლისს გერმანიის კანონერი **„პანტერა"** ჩავიდა აგადირს, რაც მაროკოს დასავლეთ ნაპირზე მდებარეობს, რათა დაედასტურებინა თავისი უფლებანი აფრიკის მიმართ.

„პანტერის" ამ ცნობილ ნახტომს, რომელმაც მაშინ კინაღამ მსოფლიო ომი გამოიწვია, მოჰყვა საფრანგეთ-გერმანიის 1911 წ. 4 ნოემბრის ხელშეკრულება. ნაცვლად თავისი თანხმობისა, რომ მაროკოში საფრანგეთის რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა აფრიალებინათ, გერმანიამ მიიღო კამერუნის „დასამრგვალებლად" 250 ათასი კვ. კილომეტრი 1 მილიონი მოსახლეობით.

გერმანია უარს ამბობდა მაროკოზე სასყიდლით. მაგრამ მალე იგი იძულებული გახდა სრულიად უსასყიდლოდ აეღო ხელი ყველა თავის კოლონიურ სამფლობელოზე აფრიკაში.

აფრიკაში ნადავლი დაიკარგა. ვერსალის ხელშეკრულებით გერმანია **„მთავარ მოკავშირე და გაერთიანებულ სახელმწიფოთა სასარგებლოდ ხელს იღებს ყველა თავის უფლებაზე თავისი ზღვისიქითა სამფლობელოების მიმართ".** ეს ნიშნავდა, რომ გერმანია ჰკარგავდა თავის აღმოსავლეთ აფრიკას — 997 ათას კლმ., 8 მილიონი მცხოვრ. კამერუნს — 790 ათასი კილომეტრი, 4.200 ათასი მცხ., ტოგოს—87.200 კვად. კილომეტრი და 1.032 ათასი მცხოვრ., თავის სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკას — 835 ათას კვად. კილომეტრი და დაახლოებით 100 ათას მცხოვრ., სულ, სამხრეთ ზღვის კუნძულებისა და კიაო-ჩაოს ჩათვლით, გერმანიამ დაჰკარგა 2.954.000 კვად. კილომეტრი კოლონიური ტერიტორია, დაახლოებით 14 მილიონი მოსახლეობით.

გერმანიის ფინანსიურ კაპიტალს არ სურდა ამ დანაკარგს შერიგებოდა. ვერსალის მომდევნო წლებში გერმანია ერთი წუთითაც არ იღებდა ხელს თავის კოლონიურ ოცნებებზე. იწყებოდა ახალი ლაშქრობა აფრიკისაკენ, ჩუმი ლაშქრობა. ჯერ კიდევ დიდიხნით ადრე, სანამ ჰიტლერი ძალაუფლებას დაეპატრონებოდა, გერმანიაში არსებობდნენ „აკადემიური კოლონიური კავშირი" და „საიმპერიო კოლონიური კავშირი". ეს ორგანიზაციები აჩაღებდნენ დემაგოგიურ პროპაგანდას, არწმუნებდნენ უმუშევართა დამშეულ მასებს, — უმუშევრობის მიზეზი ის არის, რომ გერმანიას კოლონიები წაართვეს. სამუშაოს მხოლოდ კოლონიები მოგვცემსო.

ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პრეისკურანტის მესამე პუნქტი მოითხოვდა კოლონიებს „ჩვენი ხალხის გამოსაკვებად და ჭარბი მოსახლეობის გადასასახლებლად". მაგრამ ოფიციალურად კოლონიების დაბრუნების საკითხს გერმანია ჯერ კიდევ არ აყენებდა. პირიქით, თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა" ჰიტლერი არწმუნებდა, რომ კოლონიებმა დაჰკარგეს თავისი ინტერესი გერმანიისათვის, რომ იგი მიისწრაფის მხოლოდ „აღმოსავლეთ-კოლონიური პოლიტიკისაკენ ხმელეთზე".

სწორედ ასევე მოიქცა გერმანია აფრიკისაკენ თავისი პირველი გალაშქრების დასაწყისში. გერმანია ტოგოში სამხედრო ექსპედიციებს გზავნიდა, ხოლო ამავე დროს ირწმუნებოდა, რომ იგი სრულიად მოკლებული იყო მადას კოლონიებისადმი. გაზეთი „ნორდდოიჩე-ცაიტუნგი" 1890 წლის ივნისში სწერდა":

„ჩვენი დამოკიდებულება ინგლისთან ევროპის მშვიდობიანობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა და ჩვენს მთავრობას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს კოლონიურ ავანტიურებს, რომელნიც გერმანიას არავითარ სარგებლობას არ მოუტანენ და ამავე დროს მიმართული არიან ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ".

ჰიტლერიც ცდილობდა დაერწმუნებინა ინგლისი, რომ მას მადა არ გააჩნია აფრიკის მიმართ. ის მზად იყო ემტკიცებინა, თითქოს გერმანულმა ღმერთმა ისე შექმნა თავისი ბავშვები, რომ მათთვის სრულიად შეუფერებელია სამხრეთს უმზირონ, რომ მათი გულისყური მიპყრობილია მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ რაც უფრო იარაღდებოდა გერმანია, მით უფრო სხვა ჰანგები მოისმოდა მის აფრიკულ არიებში. ჰიტლერსა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ საიმონს შორის ბერლინში გამართული მოლაპარაკების დროს გერმანიისათვის კოლონიების დაბრუნების საკითხი უკვე ოფიციალურ ნიადაგზე იქნა დასმული. მართალია, ჰიტლერი სდუმდა იმაზე, თუ ვის ხარჯზე უნდა მიეღო მას კოლონიები. ეს „დუმილის ფანდი" გრძელდება ფაშისტური პარტიის ნიურენბერგის ყრილობის გახსნამდე (9 დეკემბერს), როცა ჰიტლერის განცხადებაში არ არის გაშიფრული ფრაზა, რომ გერმანია ხელს არ იღებს თავის კოლონიურ პრეტენზიებზე.

მაგრამ რაზედაც ჰიტლერი სდუმდა, ამას აშკარად ამბობდნენ **რორბახის** ტიპის ადამიანები — ჯერ კიდევ ომამდელი გერმანული იმპერიალიზმის ეს მეისტერზინგერები. თავის წიგნში „გერმანიის კოლონიური მოთხოვნები", რომელიც შარშან ჰამბურგში გამოვიდა, იგი ყველაფერს ფარდას ხდის. რორბახი ემყარება ოციოდე გერმანელი ექიმის წარსულ ბრძოლას აფრიკის მალარიასთან თუ ძილის ავადმყოფობასთან და ირწმუნება, ზანგები და ჰოტენტოტები იმაზეღა ოცნებობენ, რომ კვლავ გერმანიის სკიპტრის ქვეშ მოექცნენო.

გერმანიის კოლონიურმა მოთხოვნებმა მოულოდნელი დამცველები ჰპოვეს ინგლისში, არა. მარტო როტერმირის პრესის, არამედ ლეიბორისტული პარტიის განსაზღვრული ნაწილის სახითაც.

ფაშისტურმა გერმანიამ, რომელიც ომის დროშას აფრიალებს, დაფხრიწა ყველა ხელშეკრულება, შემოიღო საყოველთაო სამხედრო სწავლება, დაარღვია რეინის ზონის დემილიტარიზაცია, ორ მილიონ კაცამდე აიყვანა თავისი არმიის რაოდენობა. სავსებით ცხადია, რომ მისი კოლონიალური ზრახვები მიმართულია არა რომელიღაც მონაკოს სამთავროს წინააღმდეგ, რომელიც აფრიკას მხოლოდ სურათებით იცნობს. ახალი „პანტერა" ახალი ნახტომისათვის ემზადება. კოლონიების ყოველგვარი ხელახალი დაყოფა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ყველაზე უფრო დიდი კოლონიური ქვეყნის ხარჯზე და მხოლოდ იარაღით ხელში.

ფაშისტურმა გერმანიამ, რომელიც ხელს უწყობდა ამბოხების მომზადებას ესპანეთში, უკვე დიდიხანია აირჩია მაროკო ბაზად აფრიკაში შეჭრისათვის. ჯერ კიდევ 1934 წელს პატარა ტეტუანში, სადაც სულ 2-3 ათეული გერმანელი სცხოვრობს, გაიხსნა გერმანიის საკონსულო. ტეტუანში, ამ საკონსულო კანტორის მეშვეობით, იარაღს აწვდიდნენ უცხოელთა ლეგიონს სწორედ იმ დროიდან, როცა მას სათავეში ჩაუდგა გენერალი ფრანკო.

ესპანელ ფაშისტთა ამბოხება გერმანიას უხსნის კარს, რომლითაც იგი აპირებს მარშით გაემართოს აფრიკისაკენ. მაროკო არჩეულია პირველ ეტაპად ამ გზაზე. ეჭვი არ არის, გენერალი ფრანკო იმ დახმარებისათვის, რომელსაც მას გერმანია უწევს, რაღაც უფრო მეტს შეჰპირდა გერმანიას, ვიდრე თავის სიმპატიებს ბერლინისადმი. გერმანიას იმედი აქვს, რომ იგი მაროკოში განმტკიცდება. იგი შეუთანხმდა მეამბოხე გენერლებს ბალეარის კუნძულების შესახებ. ამ კუნძულებზე დაყრდნობით ის შესძლებს საფრთხე შეუქმნას არა მარტო იმ ხაზს, რომელიც საფრანგეთს თავის აფრიკულ კოლონიებთან აკავშირებს, არამედ ბრიტანეთის იმპერიის სასიცოცხლო არტერიასაც — ჰიბრალტარ-სუეცს.

გერმანია იმედოვნებს, რომ ესპანეთის ფაშისტ-პატრიოტების ხელისშეწყობით ის მოახერხებს გამოიყენოს ესპანეთის ტერიტორია ისევე თავისუფლად, როგორც იგი 1914 წელს აპირებდა გამოეყენებინა ესპანეთის სასარგებლოდ ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოები. ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყისშივე გერმანია შეჰპირდა ალფონს XIII-ს გიბრალტარსაც, საფრანგეთის მაროკოსაც და მოქმედების სრულ თავისუფლებასაც პორტუგალიაში, თუ ესპანეთი მის მხარეზე გამოვიდოდა. 1915 წლის მარტში რუსეთის ელჩმა ბელგიაში კუდაშევმა აცნობა საზონოვს, რომ ბელგიის მადრიდელი ელჩისაგან მიღებული ცნობებით ალფონს მეფე ოცნებობდა — დაეთმოთ მისთვის ჩრდილოეთ მაროკოს ნავსადგური ტანჟერი, რომელიც ინგლისის დაჟინებული მოთხოვნით ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული..

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი განგაშს სტეხს. დაგვიანება გერმანიის პასუხისა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობას, ინგლისის სულ სხვადასხვა წრეებში იწვევს შეშფოთებასაც და გულისწყრომასაც.

გერმანია, თუმცა მან გამოაქვეყნა დეკრეტი ესპანეთში იარაღის შეტანის აკრძალვის შესახებ, **კვლავ გზავნის ესპანეთში იარაღით დატვირთულ თავის ტრანსპორტებს** პორტუგალიის ან ტეტუანის გზით. გერმანია უკვე მეხუთე თვეა სდუმს ინგლისის „კითხვარის" გამო, რომელიც შეიცავს იმ კითხვასაც, თუ „რას ფიქრობს გერმანიის მთავრობა ვერსალის ხელშეკრულების ჯერ კიდევ მოქმედი მუხლების შემდგომშიც ძალაში დატოვების შესახებ". ე. ი. მათ შორის იმ მუხლებზე, რომლებიც კოლონიებს ეხებიანო. თავისი კოლონიური ექსპანსიის ობიექტად გერმანიის იმპერიალიზმი აცხადებს აგრეთვე კანარის კუნძულებს. კომერციული ფირმების ალამით იგი აშკარად იღებს პორტუგალიის მთავრობისაგან ატლანტის ოკეანეზე [illegible] კუნძულებს, იქ ჰქმნის ბაზებს წყალქვეშა ნავებისათვის და ამით იმუქრება სამხრეთ აფრიკის კოლონიებთან ინგლისის დამაკავშირებელ ხაზს. მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიის ზოგიერთ წრეებს ჰგონიათ, რომ ახალი „პანტერა" ჯერ კიდევ არ მისულა თავის აგადირამდე. და გერმანია განაგრძობს პროვოკაციების, ამბოხების, ომის გზას.

---

*) სტატია დაწერილია და მოსკოვიდან გამოგზავნილია სპეციალურად „კომუნისტისათვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამომრჩეველთა დავალებებს არ ასრულებენ

(„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სასოფლო საბჭოები თავიანთ ტერიტორიაზე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ. მათ ირჩევს სოფლის მშრომელი მოსახლეობა და ძლევს დავალებას: ააშენონ ახალი და შეაკეთონ ძველი სკოლები, უზრუნველყონ სოფლის მოსახლეობა კარგი გზებით, გაიყვანონ სასმელი წყალი, გააუმჯობესონ გლეხობის კულტურული და სამედიცინო მომსახურება და სხვა ბევრი, რაც კი დღეს საკოლმეურნეო სოფელს ესაჭიროება.

სას. საბჭოების, ხელისუფლებას ამ ადგილობრივი ორგანოების, მუშაობა იმის მიხედვით ფასდება, თუ როგორ ასრულებენ ისინი ამომრჩეველთა ამ დავალებებს. ბევრი სას. საბჭო კარგად მუშაობს, ასრულებს ამ დავალებებს, აბამს ამ დავალებათა შესრულებაში საბჭოს ყველა წევრს, სექციებსა და სადეპუტატო ჯგუფებს, მთელ საკოლმეურნეო აქტივს. ასეთი მუშაობის შედეგად საკოლმეურნეო სოფელმა ფერი იცვალა; ის აღარა ჰგავს ძველ უკულტურო და ბნელ სოფელს, რომელშიაც მშრომელი გლეხობის მთელი ცხოვრება უსიხარულოდ და უფეროდ მიმდინარეობდა. დღევანდელ სოფელს აქვს რადიო, ქოხ-სამკითხველო, სამედიცინო პუნქტი, სკოლა და კულტურის სხვა კერები.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სოფ. საბჭოებს ყველგან ყველაფერი რიგზე აქვთ; პირიქით, ბევრ სოფ. საბჭოში ამ მხრივ, განსაკუთრებით კი ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მხრივ, ძალიან ცუდი მდგომარეობაა.

მაგალითისათვის ავიღოთ გორის რაიონის სასოფლო საბჭოების მუშაობა. არჩევნების დროს (1934 წლის ოქტომბერ-ნოემბერი) მოსახლეობამ ტირძნისის სოფ. საბჭოს დაავალა, გაეყვანა ახალი წყარო, რადგან უწყლობის გამო მცხოვრებლები იძულებული არიან მდინარის ნავუბარი წყალი სვან. ეს დავალება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობა არის, დღემდე შეუსრულებელია. განაწესში აგრეთვე შეტანილი იყო სოფლის ძველი გზების შეკეთება და ახლის გაყვანა. წვიმების ან ბაღების რწყვის დროს, ეს გზები ისე ატალახდება ხოლმე, რომ არამც თუ ფეხით, ურმითაც შეუძლებელია გავლა. ეს გზები უფრო ცუდ მდგომარეობაშია ზამთრობით; სოფლებს ძალიან უძნელდებათ სოფ. კოოპერატივში და აფთიაქში მისვლა, ბავშვებს კი სკოლებში სიარული.

სკრის სას. საბჭოში დიდი უსუფთაობა და სიბინძურეა. ზემო და ქვემო სკრაში ბოსლებისა და საცხოვრებელ ბინების წინ ჰყრია ზამთრის პერიოდში დაგროვილი, დამპალი და აყროლებული ნეხვი. სოფ. საბჭომ იმდენი ინიციატივა ვერ გამოიჩინა, რომ ეს სასუქი მოსახლეობისათვის მინდორში გადაეყრევინებინა.

მეჯვრისხევის, ტყვიავის და შინდისის სოფ. საბჭოების მოსახლეობა, უწყლობის გამო, მდინარე ლიახვის წყალსა სვამს. ამავე დროს ამ მდინარეზე დადგმული აქვთ ფეხისადგილები. ამით აიხსნება ამ სოფლებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების, დაავადება დიზენტერიით და მუცელათი.

სად არიან ამ სოფლების ექიმები და მასწავლებლები? განა მათ არ შეუძლიათ აიძულონ სოფ. საბჭოები, რომ ასეთ უმსგავსოებას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს?

დამახასიათებელია, რომ სოფ. მეჯვრისხევის მოსახლეობა სას. საბჭოს წყაროს გაყვანას 1927 წლიდან ავალებს, 1932 წელს წყლის გასაყვანად 12 ათასი მანეთიც შეიკრა, მაგრამ, ამ თანხით სოფ. საბჭომ წყლის გაყვანის ნაცვლად სასადილო გახსნა, რომლის მუშაობაც შემდეგ ზარალით და გაფლანგვით დამთავრდა.

ზოგ სოფსაბჭოში განაწესებიც კი დაუკარგავთ. აბა როგორ უნდა შესრულდეს აქ ამომრჩეველთა დავალებები? ზოგან სას. საბჭოების სხდომებზე ისმენენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეების მოხსენებებს, გამოაქვთ დადგენილებები, მაგრამ ამ დადგენილებათა შესრულებას არავინ ამოწმებს: ასეთი ხელმძღვანელობის შედეგია, რომ იქ ძალიან ჩამორჩება მოსავლის აღება, თოხნა და სხვ. სუსტია კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინაც.

აღსანიშნავია გორის საქალაქო საბჭოს კარგი მუშაობა განაწესების შესრულების დარგში. მიუხედავად ამისა, არც აქაა ყველაფერი რიგზე. მართალია, გორის მთავარი ქუჩა (ლენინის ქ.) სანიმუშოდ არის მოწყობილი (ასფალტის დაგება, გამწვანება, წესრიგისა და სისუფთავის დაცვა და სხვ.), მაგრამ ეს არ ითქმის სხვა ქუჩებზე.

აი, რა სთქვა ამ საკითხზე გორის საქალაქო საბჭოს წევრმა ამხ. დავიდოვმა; „კეთილმოუწყობელია გორში ფრანგებისა და სადგურის უბანი. ფრანგების უბანში თითქმის ყოველთვის დგას წყლის გუბეები, რომლებიც ჰპობდებიან და გარშემო ცუდ სუნს ავრცელებენ. სადგურის უბანს არა აქვს თავისი აფთიაქი. ეს უბანი ძალიან დაშორებულია ქალაქის აფთიაქს, რის გამო ცუდ ამინდში, განსაკუთრებით ზამთრობით, მოსახლეობას უძნელდება შორ მანძილზე სიარული. ქუჩაში ჰყრიან ნაგავს, რადგან დადგმული არ არის ნაგვის ყუთები.

უფრო ცუდ მდგომარეობაშია ამ უბნის მოსახლეობა სასმელი წყლით უზრუნველყოფის მხრივ. ძველი ჭები დაშრა, ხალხი მტკვრის წყალსა სვამს. ამიტომ, როდესაც აგენტები წყლის ფულს მოითხოვენ, მოსახლეობა მათ კანონიერ უარს უცხადებსო".

საბჭოების უხეირო მუშაობის ნათელსაყოფად, ამ ფაქტების დასახელებაც საკმარისია. სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვასა და საბჭოთა დემოკრატიის უმაღლეს საფეხურზე ასვლის პირობებში ამომრჩეველთა დავალებების ასეთი უგულებელყოფა ყოვლად შეუწყნარებელია. საბჭოების უხეირო ხელმძღვანელები, რომელთაც ხალხის ნდობა ვერ გაამართლეს და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე არ ზრუნავდნენ, უკანვე უნდა იქნან გაწვეული, ხოლო მათ ადგილას ახალი, უფრო ინიციატივიანი ადამიანები უნდა დავაყენოთ, რომელთაც ხალხი ენდობა და რომელნიც ამომრჩეველთა დავალებებს აუცილებლად შეასრულებენ ისე, როგორც ამას სტალინური კონსტიტუცია მოითხოვს.

რაიონებში

სტახანოველთა დაჯილდოება

ბაბანეთის (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეობაში იზრდება სტახანოველთა რიგები. კოლმეურნეობის გამგეობა ყოველმხრივ ხელს უწყობს კოლმეურნე სტახანოველთა გამოვლინებას. ახლა აქ 37 სტახანოველია, რომელნიც დააჯილდოვეს 30 აგვისტოს—სტახანოვური მოძრაობის წლის თავთან დაკავშირებით.

ამბროსი ჩხაიძე.

○

თამბაქოს დანაკარგი

ქედის რაიონის (აჭარა) სოფ. ძენწმანის, დანდალოს და კაკაოლების კოლმეურნეობებში ჭიანურდება თამბაქოს შეტეხვა. ანემვის დროს თამბაქოს ფოთლები მიწაზე ცვივა და ფეხქვეშ ითელება. არ სწარმოებს მეტეხილი თამბაქოს ხარისხის აღრიცხვა.

გ. რუსიაშვილი.

○

გარდამავალი დროშა

ლანჩხუთის რაიონის ლენინის კოლმეურნეობაში საწარმოო მაჩვენებლების მხრივ ყველაზე წინ არის მეხუთე ბრიგადა (ბრიგადირი კ. კონჭულია). ჩაის პლანტაციები სანიმუშოდ არის მოვლილი. ფოთლის კრეფაც დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამ ბრიგადას 9 თვის წინათ გადაეცა გარდამავალი დროშა. ბრიგადა იბრძვის დროშის შესანარჩუნებლად.

შ. კუნჭულია.

○

ფერმა უყურადღებოდ

ეწრის (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევენ მეღორეობის ფერმას. ფერმის გამგე ამხ. ნ. კვაჭაძე თავის მოვალეობას უგულვებლოდ ეკიდება. ფერმის შენობა განათებული არ არის. შიგ დიდი უსუფთაობაა. ამის გამო ღორები იხოცებიან.

ვახ. ჟუღენია.

○

შეიძინეს ავტო-მანქანა

ჯულილის რაიონის კოლმეურნეობა „წითელმა სხივმა" (თავმჯდომარე ამხ. ოქროპირ ხიდაშელი) საკუთარი სახსრებით შეიძინა 1,5 ტონიანი ავტო-მანქანა. ახლა კოლმეურნეები რაიონში ავტომანქანით მოგზაურობენ.

დავით ფაჩაძე.

○

ვენახის პასპორტიზაცია დაიწყო

გურჯაანის რაიონში დაიწყო ვენახის პასპორტიზაცია, რომელმაც უნდა გვიჩვენოს ნამდვილი სურათი მევენახეობის მდგომარეობისა. ამ საქმეში დახმარების აღმოსაჩენად ტფილისიდან ჩამოვიდა მიწსახკომის ბრიგადა.

რაიონში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პასპორტიზაციის ვადაზე ადრე (10 ოქტომბერი) და სანიმუშო ჩატარებისათვის.

პარალელად ხდება აგრეთვე მიწების შერჩევა—გამოყოფა ახალი ფართობის ასათვისებლად.

ა. თოდუა, ა. ბიწაძე.

○

სტახანოველები ჩაის ფაბრიკიდან

მახარაძის ჩაის ფაბრიკაში ახლა 60 სტახანოველია. დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ყოველმხრივ ხელს უწყობენ სტახანოველებს მაღალი შრომის ნაყოფიერების მისაღწევად. სტახანოველ მუშებს შორის აღსანიშნავია: მარო მესხიშვილი, ო. დარჩია, ოლდორე გოგუა, ნ. ჭურნია, ნატ. ჩხარტიშვილი, ი. ცქვიტინიძე, ტ. დარჩია, ქ. სტურუა. სტახანოვური მოძრაობის წლისთავთან დაკავშირებით ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა გადაჭარბებით და ხარისხიანად შეასრულოს მზა ჩაის გამოშვების გეგმები.

კლ. თავაძე.

უკეთ მოვაწყოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა

ვ. კახიშვილი

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების შესახებ თელავის რაიონის კოლმეურნეობათა პირველადს პარტორგანიზაციებში და კოლმეურნეთა კრებებზე მართალია დამუშავდა და ღონისძიებებიც დასახეს, მაგრამ ამით როდი მთავრდება მუშაობა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ღონისძიებები პრაქტიკულად იქნას განხორციელებული, გამოსწორდეს ის ნაკლოვანებები, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს მუშაობაში, უკეთ მოეწყოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა.

პარტრაიკომიდან კოლმეურნეობათა პირველადს პარტორგანიზაციებზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა ბევრ შემთხვევაში მუშაობა იმით ამოსწურეს, რომ მხოლოდ დაამუშავეს ამხ. ბერიას მოხსენება პარტიულ და საკოლმეურნეო კრებებზე, ხოლო პრაქტიკული დახმარება იმისათვის, რომ გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებები ან შეცდომები, —ჯერ არ ჩანს. საკმაო დრო კი გავიდა.

აკურის და კურდღელაურის 26 კომ. სახ. კოლმეურნეობის მდგომარეობის მაგალითით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრ კოლმეურნეობაში არსებითად ჯერ კიდევ არ გაშლილა პრაქტიკული მუშაობა ამხ. ბერიას მითითებათა განსახორციელებლად.

50 კოლმეურნეს აკურაში და 6 კოლმეურნეს კურდღელაურში ჯერ კიდევ არა აქვს შევსებული საკარმიდამო ნაკვეთის ნორმა პირად სარგებლობაში მაშინ, როდესაც, მაგალითად, კურდღელაურში რამდენიმე კოლმეურნეს ნორმაზე მეტი აქვს და ჯერაც არ ჩამოუჭრიათ ეს ზედმეტი ფართობი.

აკურის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. კანაშვილი) ერთერთი ძლიერი კოლმეურნეობაა და საერთოდ აქ ცუდად როდი მუშაობენ, მაგრამ მთელი რიგი ცალკეული საკითხები მაინც მოუწესრიგებელია. 80 კოლმეურნეს დღემდე არ შეუტანია შესასვლელი გამოსაღები და ეს საქმე კარგა ხანია ჭიანურდება. 1936 წ. გეგმით კოლმეურნეებზე უნდა გაიცეს 36.000 მან., დღემდე კი ზოგიერთ კოლმეურნეზე გაცემულია ავანსი სულ მხოლოდ 640 მან. სექტემბრის განმავლობაში კოლმეურნეებისათვის შრომადღეები არ ჩაუწერიათ შრომის წიგნაკებში. ადგილებზე შემოწმებისას შრომადღეები ჩაწერილი არ ჰქონდათ გ. ჭურღულაშვილს, დ. ლამაზოშვილს, ს. ქევხიშვილს, გ. ბლუიაშვილს და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 21 აგვისტოს მიუთითა სარევიზიო კომისიამ, დღემდე არ არის გაფორმებული ბრიგადებზე და ფერმის გამგე - მწყემსებზე მიმაგრებული მუშა-საქონელი, სას.-სამეურნეო იარაღები და პროდუქტიული პირუტყვი.

ამ კოლმეურნეობაში ერთ წელზე მეტია, რაც განაღდებული არ არის დებიტორთა დავალიანება ორი ათას მანეთზე მეტი ოდენობით, ხოლო 45 კოლმეურნეს დღემდე არ მიუღია 1935 წლის ფულადი განაწილებიდან 1.374 მან.

კოლმეურნეობამ მიწის მიმაგრების სახელმწიფო აქტი ჩაიბარა, მაგრამ დღემდე არ არის ნაკვეთები დაყოფილი თესლთაბრუნვისა და ბრიგადებზე მიმაგრების თვალსაზრისით. ალბათ რაიმიწგანს ეს სამუშაო დაავიწყდა, მაგრამ საჭიროა ახლა მაინც გაიხსენონ.

სოფ. კურდღელაურის 26 კომ. სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. გიორგელაშვილი) შრომადღეების აღრიცხვა მოუწესრიგებელია, კოლმეურნეებს ეკარგებათ შრომადღეები, წიგნაკები შკაფში ინახება და კოლმეურნეებს არა აქვთ საშუალება შეამოწმონ ჩაწერილი შრომადღეების სისწორე. აქ შრომადღეები წიგნაკებში ჩაწერილია მხოლოდ 10 სექტემბრამდე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ვ. ორჯოდაშვილი და წევრი ლ. აბეზაშვილი წელიწადზე მეტია კოლმეურნეობიდან წასულან, მაგრამ ახალი კომისიის არჩევაზე დღემდე არავინ ფიქრობს.

კოლმეურნეობას ჰყავს ბუხჰალტერიც და მოანგარიშეც, მაგრამ ისინი ჩინოვნიკურად ეკიდებიან თავიანთ საქმეს. აქ გადახარჯვებია, რასაც ისინი აფორმებენ, „თანახმად მითითებისა". ასე, მაგალითად, 20 აგვისტოსათვის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები გაწეულია გათვალისწინებულ თანხის 186,0 პროც., მანქანა-იარაღების რემონტისათვის — 1027,0 პროც., ხოლო კოლმეურნეობის წევრებზე 1936 წ. გასაცემი ავანსი 23.000 მანეთის ნაცვლად გაცემულია 243 მან. დღემდე არ არის განაღდებული დებიტორთა 1935 წ. დავალიანება 2.100 მან. 10 კოლმეურნეს არა აქვს შეტანილი საწევრო გამოსაღები.

ბრიგადებს შორის არ არის გაშლილი სოც. შეჯიბრება. კომუნისტებს მხოლოდ ორ ბრიგადაში მოუყრიათ თავი. ყველაფერი ეს ხელმძღვანელობას თითქოს ნორმალურ მდგომარეობად მიაჩნია.

ამ ერთი თვის წინათ კოლმეურნეობიდან „გაურიცხავთ" კოლმეურნე მარკოზ ბედიანიძე. ამ კრებას ესწრებოდა წევრთა ერთი მესამედი, ხოლო კენჭისყრაში ორიოდე კაცის მეტს არავის მიუღია მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ბედიანიძე მაინც გარიცხეს. ამ ბედიანიძეს თვალი სტკივა და უთხოვნია, სამუშაო შემიცვალეთო. მაგრამ ამ თხოვნას ანგარიში არ გაუწიეს.

ჩვენ ყველა ნაკლს არ შევხებივართ, მაგრამ როგორც ჩანს, გამოსასწორებელი, ძალიან ბევრი თუ არა, „ცოტა რამ" მაინც ყოფილა. ამხ. ბერიას მოხსენებაში დასმული ამოცანები, მთელი რიგი ახალი საკითხების გადაჭრას ავალებენ კოლმეურნეობებს, ამ ამოცანების განსახორციელებლად უაღრესად სერიოზული მუშაობის გაშლა მართებს ყველა კოლმეურნეობას! პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკ-კოლმეურნეებს, ხოლო უპირველეს ყოვლისა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს.

თელავის მტს-ის პარტორგანიზაციისა და მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე დამუშავდა ამხ. ბერიას მოხსენება და ღონისძიებებიც დასახეს. ცალკე ბრიგადებს პარტიის წევრები მიამაგრეს და გაშალეს მუშაობა აგროტექწესების ასამოქმედებლად, — მაგრამ ამით ყველაფერი როდია გაკეთებული.

18 სექტემბრისათვის ამხ. ბერიას მოხსენება ჯერ არ იყო დამუშავებული სატრაქტორო ბრიგადებში, არ ჩატარებულა მტს-ის საბჭოს სხდომა და არც საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმა იყო დაყვანილი კოლმეურნეობებამდე.

მტს-ს ამჟამად სჭირია 250 ცალამდე ლემეხი და 40-მდე ფარცხი, საჭიროა საქ. სოფლმომარაგებამ სასწრაფოდ მიაწოდოს ეს იარაღები.

გეგმასთან შეფარდებით საქ. მიწსახკომი ძალიან ხშირად აგვიანებს საჭირო თანხების გადმორიცხვას. მაგალითად, აგროპერსონალს და მუშა-მოსამსახურეთ დღემდე არ მიუღიათ ნაწილობრივ ივლისის და აგვისტოს მთელი ხელფასი, რაც მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

რაიმიწგანს ჯერ არ განუხილავს თავისი აპარატის კადრების საკითხი, მათი შევსებისა და გადაჯგუფების თვალსაზრისით, რათა უკეთ მოაწყოს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა.

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების შესახებ და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 16 სექტემბრის დადგენილება საქართველოში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებაზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ სახკომსაბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ, —უდიდეს ამოცანებს გვისახავენ შემდგომი მუშაობისათვის. საჭიროა უკეთ მოვაწყოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა და დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ არსებული ნაკლოვანებანი არტელში, სტალინური წესდების საფუძველზე.

მორიგი გაწვევა წითელ არმიაში სტალინის რაიონის გასაწვევი პუნქტის პოლიტხელმძღვანელი ამხ. ბარდია ამოწმებს ახალწვეულთა მიერ შაშხანის ცოდნას

გასაწვევ

დილით ადრე, სამუშაოს დაწყებამდე, წითელ არმიაში გასაწვევი ახალგაზრდები თავს იყრიან პუნქტში. ელიან ექიმებს, გასაწვევი პუნქტის უფროსს, კონსულტანტებს. რაღა დარჩენიათ სახლში? ჩვეულებრივ, ახლა სამუშაოზე უნდა იყვნენ; უნდა სცემდნენ თავიანთ ჩაქუჩს, აბრუნებდნენ სახარატო ჩარხს, ან სჭრიდნენ მაკრატლით თუნუქს და აკოწიწებდნენ რკინის პაწია ნაწილებს.

დილაა... პაპიროსს აბოლებენ, მასლაათობენ, ერთმანეთს ეკითხებიან სამსახურისა თუ ოჯახურ საქმეებზე.

— გაასწორე საბოლოო ანგარიში?

— ჰოდა, საკმაო ფული მერგო.. უკვე მზადა ვარ; რამდენიმე დღით სოფელში უნდა წავიდე, მივიარ-მოვიარო, გამოვემშვიდობო ნაცნობ-მეზობლებს და ჰერი-წითელ არმიელი უნდა გავხდე.

გამწვევ კომისიას ჯერ კიდევ არ დაუწყია მუშაობა. რა ადრე მოსულან ბიჭები! გული ერჩით, ვერ ითმენენ, უნდათ მალე გაიგონ, მიდიან წითელ არმიაში, თუ არა. ადრეა? მერე რა უშავს! განა ცოტა გასართობი და თავშესაქცევია პუნქტში? აი, სდგას „მაქსიმის" სისტემის ტყვიამფრქვევი, რომლის ტუჩი საზარლად იყურება. ვაი იმას, ვისაც ამის ტყვია მოხვდება—მთლად ბოლს ადენს, გაალამტვერებს.

ახალწვეულები გარს ეხვევიან „მაქსიმს"; ათვალიერებენ, ხელს კი არ ახლებენ, ხუმრობენ: ვაი თუ გავარდესო, ჯერ ხომ არ იციან მისი გამოყენება! მართალია, „მაქსიმი" ისეთსავე ტყვიებს ისვრის როგორსაც შაშხანა; მაგრამ განსხვავება მაინც დიდია, ტყვიამფრქვევს თავისი კაპრიზები აქვს; უნდა იცოდე ეს კაპრიზები, თორემ კარგად ვერ გამოიყენებ ბრძოლაში.

ახალწვეულმა ლაბაძემ გაწვევამდე სამზადისი სანიმუშოდ გაიარა. ჩააბარა ნიშანზე: „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის", დაეუფლა ვოროშილოვისებურ სროლას და „მაქსიმის" ტყვიამფრქვევის კონსტრუქციაც შეისწავლა, მაგრამ მხოლოდ თეორიულად. პრაქტიკულად კი ჯერ ერთი ტყვიაც არ გაუსროლია. როდის დადგება დრო, როდესაც საკუთარი ხელით ააკაკანებს „მაქსიმს"? როდის ააწივლებს ბლუჯ-ბლუჯად გაფანტულ ტყვიებს? სულ მალე, დღეს გამწვევი კომისია საბოლოოდ შეამოწმებს და გაამწესებს ნაწილში.

გასაწვევ პუნქტში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ერთი დაფა, იგი დამშვენებულია იმ ახალწვეულთა სურათებით, რომელთაც ჯარში გაწვევამდე თიაქარის ოპერაცია გაიკეთეს. წითელ არმიაში შეუძლებელია ამ ავადმყოფობით დაავადებული ახალგაზრდის გაწვევა; ოპერაციის შემდეგ კი, ავადმყოფობა ქრება. ჩვენი ახალგაზრდობა სიხარულით იკეთებს ამ ოპერაციას, რათა დაუბრკოლებლად წავიდეს ჯარში.

რის მაჩვენებელია ეს ფაქტი? იმ დიდი სიხარულის, რომლითაც ჩვენი ახალგაზრდობა მიდის წითელ ჯარში. რა ხდებოდა წინათ? წინათ ჯარში გაწვევა ნამდვილი უბედურება იყო. რამდენი ცრემლი დაღვრილა!... რამდენი ოჯახი, ცოლშვილი დარჩენილა უმამოდ, უშვილოდ! წინათ ოღონდ ჯარში წასვლა აეცდინათ და ყოველგვარ რისკს ეწეოდნენ: იტეხდნენ ფეხს, იჭრიდნენ საჩვენებელ თითს, თამბაქოს ნაცვლად სწევდნენ ჩაის, რომ სამუდამოდ დაეავადმყოფებინათ გული და კიდევ ვინ მოსთვლის, რას არ აუტეხდნენ ხოლმე თავს.

სოფლებს გლოვის ზარივით დაეცემოდათ ჯარში გაწვევა. რამდენი დედა ატირებულა ცხარე ცრემლით. გაზრდილი შვილი მიჰყავდათ, ქმარს ჯანი გაუტყდა, შრომა აღარ შეუძლიან... ბავშვები კი ისევ პატარები დარჩნენ, დაზრდა უნდოდათ.

— რა გატირებს, დედა!

ეკითხებიან დედას ბარტყებივით დატიტვლებული ბავშვები, რომელნიც შემოდგომის სუსხიან სიცივეს ლოგინში შეელალა.

დედა ცრემლებს მალავდა და ბავშვებს სიტყვას ბანზე უგდებდა. პატარები არიან, აქედანვე არ გაუტყდეთ გული ცხოვრებაზე, დაიზარდნენ, თვითონვე გაერკვევიან ცხოვრების ავკარგიანობაში — ფიქრობდა დედა და თან ბავშვებს ეფერებოდა.

გაქრა, წარსულს ჩაბარდა ეს ტირილი და ცრემლები. დიადმა ოქტომბერმა ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ დაასამარა ძველი ცხოვრების უბედურებანი. საბჭოთა დედა სიხარულით ჰგზავნის თავის შვილს წითელ ჯარში. ცხოვრება გამოიცვალა, ცხოვრება ადამიანური გახდა, წითელი არმია ამ ბედნიერი ცხოვრების დამცველია...

○

10 საათია. გამწვევმა კომისიამ მუშაობა დაიწყო. 5 ახალგაზრდა გაიშიშვლდა. რიგრიგობით ექიმებთან მიდიან. დიდი ყურადღებით ეპყრობა ექიმი თვითეულ ახალგაზრდას, აკვირდება სუნთქვას, გულისცემას და არკვევს სხეულის სხვა ნაწილების სისაღეს.

ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა ჯანმრთელია. მას აქვს მტკიცე და უზადო ორგანიზმი, წითელ არმიასაც სწორედ ასეთი ახალგაზრდობა ესაჭიროება. ექიმის შემოწმების შემდეგ, საქმე მთლად დამოკიდებულია გამწვევი კომისიის თავმჯდომარეზე. აი, ახალწვეული გიორგელაშვილი სდგას გასაწვევი პუნქტის უფროსის წინაშე. აქ სწყდება ბედი, ვინ რომელ ნაწილში მოხვდება, ქვეითში, ცხენოსანში თუ სხვაგან.

— რომელ ნაწილში გინდა? — ეკითხება ახალწვეულს პუნქტის უფროსი ამხ. ხვედელიძე.

— ჩემთვის სულერთია, რომელშიაც უნდა იყოს.

— ცხენი გიყვარს? იცი, ცხენს კარგი მოვლა უნდა!

— ცხენი მიყვარს; ისე მოვუვლი, როგორც ჩემს მანქანას ვუვლიდი. ჯერ ცხენს ვაჭმევ, დავუყრი ქერსა და თივას, შემდეგ კი მე შევჭამ.

საკითხი გადაწყდა; გიორგელაშვილი ცხენოსანი წითელარმიელი იქნება. ასე სწყდება სხვათა საკითხიც. ზოგი ქვეითი ნაწილებში მიდის, ზოგი არტილერიაში, ზოგიც ცხენოსანში.

10 სექტემბრიდან ახალგაზრდებს ამოწმებს საექიმო კომისია. წინასწარ იგებენ თუ წითელი არმიის რომელ ნაწილში მოუხდებათ წასვლა და გულდამშვიდებულნი გაწვევამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად იყენებენ: ყველას სანახავად და გამოსამშვიდობებლად მიდიან, რადგან შესაძლებელია ტფილისს გასცილდნენ, საქართველოს ან საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში მოუხდეთ წასვლა.

ტფილისის ყველა გასაწვევ პუნქტში რაციონალურად იყენებენ სულ პატარა დროსაც; იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც ცდა უხდებათ, ატარებენ საუბარს სხვადასხვა თემაზე.

— რა ახასიათებთ საბჭოთა კავშირის გმირებს? სვამს კითხვას საუბრის ხელმძღვანელი.

ახალწვეულები ერთხმად უპასუხებენ: ჩვენს გმირებს ახასიათებთ სიმამაცე, შეუპოვრობა, ნებისყოფა, თავგანწირვა და სიფხიზლე.

— პუნქტზე

შემდეგ ახალწვეულებს უხსნიან, რომ ჩვენი გმირებისათვის მარტო ეს თვისებები არ კმარა. თუ ადამიანი მარტო მამაცია და ის კი არ იცის, სად და როგორ გამოიყენოს ეს სიმამაცე, მტერთან ბრძოლაში შეიძლება ადვილად დამარცხდეს. საბჭოთა გმირების, აგრეთვე, მთავარ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს თავისი საქმის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.

ამაზე მიუთითებდა მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი, როდესაც ლაპარაკობდა სოციალიზმის ქვეყნის გმირებზე — ჩკალოვსა და მის ამხანაგებზე. სტალინი ამბობდა, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დაძლეულ იქნას ყოველგვარი სიძნელე, როდესაც სიმამაცეს და გამბედაობას უერთდება საქმის კარგი ცოდნა.

ახალწვეულები გულმოდგინედ უსმენენ; სწავლობენ ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილების — საბჭოთა კავშირის გმირების — ლევანევსკის, მოლოკოვის და სხვათა ოსტატობას და თითონაც ოცნებობენ ასეთ გმირობაზე. ჩვენს ქვეყანაში ყველა ახალგაზრდას აქვს უფლება იოცნებოს საბჭოთა კავშირის გმირობაზე და ეს ოცნება სინამდვილედ აქციოს,

ჩვენს ხალხში, კერძოდ ჩვენს ახალგაზრდობაში ნიჭი და ტალანტი, რომელიც ძველი ცხოვრების დროს ჩაწიხლული იყო, სოციალიზმმა გააღვიძა. რამდენი საამაყო ადამიანი უკვე აღიზარდა ჩვენში და კიდევ რამდენი იზრდება!

ჩვენი ქვეყნის მშრომელ ხალხს ჰყავს უძლეველი მცველი წითელი არმია. საჭირო შემთხვევაში მთელი ხალხი არმიად იქცევა, რომ საბოლოოდ განამტკიცოს სოციალიზმის საქმე და ხალხთა ბედნიერი ცხოვრება.

ასე, ყოველდღე მუშაობენ და მხიარულობენ ტფილისის გასაწვევ პუნქტებში. შემოწმებული და ჯარში წასასვლელად მომზადებული ახალწვეულები ერთმანეთს ემშვიდობებიან.

მშვიდობით!..

— მშვიდობით!.. შეიძლება არმიაში ერთმანეთს შევხვდეთ!

მართლაც, შეიძლება შეხვდნენ. რა დიდი სიხარულია!

კ. მავზარაშვილი.

„პასიონარია"

კალე ბოგოხიძე

მადრიდს გარს ეკვრის ფაშისტთა რკალი,
დაბურულია აარით იქ ცა,
ესპანელ მუშის—კაცის თუ ქალის—
ბრძოლისა გრძნობა ქუხილად იქცა.
დაიძრა მასა, რომ მტარვალთ ხროვას
ცხელ ჭურვებიდან ყუმბარა არგოს.
და გვადარამზე იმედათ მოვა
ხმა ასანიას, ქუხილი ლარგოს.
სადაც მძინვარე ჯალათი ფრანკო
კვლავ გააფთრებით განაგრძობს ბრძოლას—
ქალთა და ბავშვთა სიცოცხლეს აქრობს
დამხმარე რაზმით ველური მოლა.
და სარაგოსა მორწყულა სისხლით
ოვიედოს ცა აფითრებს ირუნს.
ესპანეთისა მშრომელთა რისხვით
მტერი ვერ უძლებს შეტევას გმირულს.
და იბარური დოლორეს დასჭრეს,
მაგრამ გასროლა დაუჯდათ ძვირად.
რომ ესპანეთი მშრომელ ხალხს დარჩეს
კვლავ ასტურია სიცოცხლეს სწირავს.
გრენადაც გმინავს, ედება ცეცხლი
და სევილიას ყუმბარა ანგრევს,
მალაგას ფრონტზე თეთრებთან შეხლით
დაღვრილი სისხლი აწითლებს ჩანგრებს.
და ბარსელონა აგზავნის ჯარებს
მშრომელთ საშველად ცას გრგვინვა გააქვს,
კვლავ მშველელს ელის ტანჯული მხარე,
და მომავლისკენ ნათელი გზა აქვს.
მტრებს საბჭოების „აჩრდილი" ბორკავს
ესპანეთს მოძმეთ გუგუნი ესმის,
ასჯერ რომ მოჰკლან პოეტი ლორკა
მაინც იქუხებს მგზნებარე ლექსით!
ვერ დააბნელებს ჰიტლერი მას ცას
ვერც მუსოლინის „ფაროლი" რისხვა,
სტალინის მხარემ სიმხნევე მისცა
რომ მშრომელ ხალხმა სამშობლო იხსნას.
და, ესპანეთის ლამაზო მთებო,
თქვენც ჩაგრულთ კერას დარაჯობთ იმ წამს.
პასიონარია წინ გიძღვით, დებო,
რომ იხარებდეს მშობელი მიწა!

აი, ისტორია!

ესე ამბავი ბიუროკრატიზმისა, რესპუბლიკის პროკურორისათვის მოსახსენებლად.

1934 წლის 16 იანვარს გაჰქურდეს ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მუშის სპირიდონ ლომიძის ბინა. ბევრი რამ წაიღეს ქურდებმა: საკერავი მანქანა, ორი ხალიჩა, კოსტუმები და სხვადასხვა ნივთები — სულ 5.000 მანეთის ღირებულებისა ეს ხომ დიდი დანაკლისია მუშის ოჯახისათვის. ლომიძის ოჯახი ფეხზე დადგა, გაფაციცებით ეძებდნენ ქურდებს. თითქოს ბედმა გაუღიმათ მიაგნეს კიდეც ქურდების კვალს.

მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი გამოდგა...

მართალია, მათ იპოვნეს [illegible] ბაზარზე თავისი საკერავი მანქანა, მართალია, მიაკვლიეს ამ მანქანის გამყიდველს დავიდოვს, რომელიც ცხოვრობს გოგოლის ქუჩაზე № 37 სახლში, სადაც აღმოჩნდა ლომიძეების ზოგი სხვა ნივთიც — ჩაის ტილო, 2 მეტრი მიტკალი). მაგრამ რა, საქმეს ამით ვერაფერი ეშველა.

სისხლის სამართლის მილიციამ გამოკვლეული საქმე სახალხო სასამართლოს გადასცა. ამ უკანასკნელმა საქმე განიხილა 1934 წლის 17 აპრილს, დავიდოვი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ექვსი თვის იძულებითი მუშაობა, ლომიძეს კი სასამართლოს მითითებით საქმე აღძრა სამოქალაქო ძიების წესით.

სამოქალაქო ძიების სასამართლომ 28 მაისს (1934 წ.) საქმე ლომიძის სასარგებლოდ გადასწყვიტა და დავიდოვს დააკისრა მოპარული ნივთების ღირებულების გადახდა.

დავიდოვმა საქმე უზენაეს სასამართლოში გადაიტანა, ამ უკანასკნელმაც 10 ივლისის სხდომაზე დაადასტურა სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. ლომიძემ აიღო აღსასრულებელი ფურცელი. აღმასრულებელმა პ. ქეიშვილმა კი 26 აგვისტოსათვის დანიშნა საჯარო ვაჭრობა დავიდოვის ქონებისა, მაგრამ... 26 აგვისტოს ვაჭრობის დაწყების წინ აღმასრულებელს მოართვეს უზენაეს სასამართლოს პლენუმის განკარგულება საქმის შეჩერების შესახებ. თურმე დავიდოვს ახლა საქმე პლენუმზე გადაეტანა და თავის გასამართლებლად მეტად საპატიო და სანდო „მოწმე" საკუთარი ცოლი დაესახელებინა. ამ „მოღვაწემ მოწმემ" განაცხადა, რომ საკერავი მანქანა მან იყიდა ვიღაც გადამყიდველ არტუშა და სერიოჟასაგან. მოდით და ნუ დაუჯერებთ ასეთ საიმედო მოწმეს! დაუჯერეს კიდეც და საქმე ხელმეორედ გამოსაძიებლად სისხლის სამართლის მილიციას დაუბრუნეს. ამ უკანასკნელმა საქმე გამოიძია და ახლა ქმართან ერთად პასუხისგებაში მისცა მისი ცოლიც.

საქმე გადაეცა სტალინის სახ. სასამართლოს, მან მოიმიზეზა, რომ ლომიძე ლენრაიონში ცხოვრობსო და საქმე ლენინის სახ. სასამართლოს გადაეცა. ამ უკანასკნელმა საქმის გარჩევა დანიშნა 1935 წლის 21 იანვრისათვის, მაგრამ მალე მოეჩვენა, რომ იგი ვერაა კარგად გამორკვეული, აიღო და გადასცა სახ. გამომძიებელს დამატებით გამოსაძიებლად.

გამომძიებელმა საძიებელი ვერაფერი ჰპოვა და თავის მხრივ საქმე ისევ სისხლის სამართლის მილიციას დაუბრუნა, რათა თავიდან მოეშორებინა იგი. მეტად საბედისწერო გამოდგა ეს უკანასკნელი გადაგზავნა. სისხლის სამართლის მილიციამაც გამოსარკვევი ვერაფერი ჰპოვეს და საქმე შკაფში შეინახეს, სადაც მან 7 თვეს დაჰყო მშვიდობიანად.

ახლა ლომიძემ პარტსაბჭოთა კონტროლის საჩივრის ბიუროს მიმართა. ბიურომ მეტად საგრძნობი დაგვიანების შემდეგ მიმდინარე წლის იანვარში საქმე ისევ უზენაეს სასამართლოს გაუგზავნა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ ეს მრავალტანჯული საქმე კვლავ ლენრაიონის სახალხო სასამართლოს დაუბრუნა.

დაიღალეთ, არა, ამხ. პროკურორო და ჩვენო მკითხველო? ბარემ ლომიძის საჩივარსაც მოსწყინდა ამ მოჯადოებულ წრეში ტრიალი. მაგრამ რა ჰქნას, როცა ამ წრიდან გამოსავალი ჯერაც ვერ უპოვნია.

უკანასკნელად ლენინის რაიონის სახ. სასამართლომ გადასწყვიტა ლომიძე-დავიდოვების საქმის განხილვა. დანიშნა კიდეც 27 იანვრისათვის საქმის გარჩევა. დავიდოვი არ გამოცხადდა — საქმე გადაიდო. კვლავ დაინიშნა საქმის განხილვა 5 თებერვლისათვის. ახლა რომელიღაც მოწმე არ გამოცხადდა და გარჩევა ისევ გადაიდო. ამასობაში, დამნაშავეს მოუსწრო საქართველოს გასაბჭოების 15 წლისთავის ამნისტიამ და საქმე სულ მოისპო! ლომიძეს დაუტოვეს მხოლოდ სამოქალაქო წესით ძიების უფლება (კიდევ კარგი!).

ახლა საქმე ისევ თავიდან იწყება, უკვე მესამედ. საქმის გარჩევა დაინიშნა 27 აპრილისათვის, მაგრამ რადგან ბრალდებულთა და მოწმეების დაბარება დაავიწყდათ, გარჩევა გადაიდო 17 მაისისათვის. 17 მაისს არ გამოცხადდა ბრალდებული დავიდოვი და ზოგი მოწმე—საქმე კვლავ გადაიდო 27 მაისისათვის. 27 მაისს ბრალდებულის დამცველმა მოითხოვა დაკარგული ნივთების გადაფასება და საქმის სისხლის სამართლის წესით გარჩევა. ამას სასამართლო არ დაეთანხმა და საქმე კვლავ უზენაეს სასამართლოში გადავიდა. უზენაესმა სასამართლომ ახლა გადასწყვიტა საქმის ისევ სისხლის სამართლის წესით განხილვა და... საქმე ისევ ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს დაუბრუნა...

კვლავ იწყება დაუსრულებელი ზღაპარი: იყო და არა იყო რა, იყო ერთი საქმე ქურდ დავიდოვისა...

ლენინის რაიონის სახ. სასამართლო კვლავ შეუდგა ძველის ერთგულებით... საქმის გაჭიანურებას! თანმიმდევრობით დაინიშნა და გადაიდო საქმის განხილვა 17 ივლისს, 20 ივლისს, 21 ივლისს, 15 აგვისტოს და ასე შემდეგ...

— თქვენ ალბათ საბოლოოდ დაჰკარგეთ მოთმინება, ამხ. პროკურორო, და აღშფოთებით იკითხავთ: როდის მოეღება ბოლო მშრომელისადმი ამ ყოვლად უსულგულო ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული — ვამტკიცებთ ჩვენ.

ლ. მუხაძე.



ახალ, ნათელ შენობაში შეხვდნენ სასწავლო წელს მე-50 სკოლის (ტფილისი, სტალინის რაიონი) მოწაფეები. სურათზე: მეშვიდე კლასის მოწაფეები მეცადინეობენ ფიზიკურ კაბინეტში. ხელმძღვანელობს მასწავლებელი ქალი დადიშელი. ფოტო ბუდეშტსკისა.

რეჟისორი ვან დერ ვისი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა ჰოლანდიელი რეჟისორი ვან დერ ვისი, რომელიც მოსკოვში დაესწრო მეოთხე თეატრალურ ფესტივალს. ჩვენს თანამშრომელთან საუბრისას, თავის შთაბეჭდილებებსა და თავის თეატრზე ვან დერ ვისმა განაცხადა:

— სხვა ქვეყნებთან ერთად, ნიდერლანდებიც ეკონომიური კრიზისის სასიკვდილო ეტლის თვლებ ქვეშ მოექცა. გაკოტრდა ძვირფასი ქვების ბირჟა, კლუბები ლოიდებიც და სასოფლო-სამეურნეო ფირმებიც, უმუშევრები ფეხლებიან ამსტერდამის და როტერდამის გრაფტებს. ბიურგერების ყოფილ „ედემში" ამა წლის იანვარს გაიხსნა... უმუშევრების თეატრი. ვეებერთელა ამფიტეატრი, რგვალი სცენა, რომლის უკან ხეები მოჩანან, მოითხოვდა მასობრივი პიესის დადგმას. და ეს პიესა დაიდგა ჩემი ხელმძღვანელობით.

ეს იყო ანტონი დუნკერის პიესა „ჩვენდა...?", რომლის სიუჟეტი უმუშევართა ცხოვრებიდან არის აღებული. მაყურებლები უმუშევრები იყვნენ. ყველა 160 მსახიობი (60 ბავშვი და 100 მოზრდილი) უმუშევრები იყვნენ. ისინი მოუთხრობდნენ უმუშევრებს უმუშევრობის ამბავს. პროლოგში ნაჩვენები იყო ბავშვების ზრდა რამდენიმე წლის განმავლობაში და როდესაც მაყურებელი დაინტერესდა ამ ბავშვების ბედიღბლით, როდესაც გაიღვიძა მათდამი თანაგრძნობა, დაიწყო თვით ტრაგედია. 16 წლის ბავშვები სკოლაში. 18 წლისანი სკოლას სტოვებენ. ბედნიერება უღიმის ახალგაზრდა მშრომელებს? არა. ქარხნის კარები მათ დაკეტილი ხვდებათ. არსით გზა. 20 წლისანი ისინი უმუშევრობის ხანგრძლივ დაღს ატარებენ. 20 წლისას მათი სარბიელი უკვე გათავებულია. ფიზიკურად და მორალურად უძლური, 2 წლის უმუშევარი ადვილად გამოდგება. და თუ სადმე შემთხვევით ორიოდე ადგილი განთავისუფლდება — უმუშევრებს არ აიყვანენ. ხანგრძლივი უმუშევრობა მუშაობის უნარს ართმევს ახალგაზრდებს. ისინი წარმოადგენენ ზედმეტ თაობას.

მაგრამ ტრაგედიის გმირი ყმაწვილი თავის ამხანაგებზე ენერგიული აღმოჩნდა. მან მიიღო ადგილი ქარხანაში. სულ მოკლე ხანში ქარხანა დაიხურა და მან—მოხუც, ნაცად მუშებთან ერთად—მოიპოვა „თავისუფლება", თავისუფლება შიმშილისა და სასოწარკვეთილებისა.

იქნებ ეს ამბავი მხოლოდ ამ ქვეყანაში, მხოლოდ ამ ქალაქში მოხდა? არა. გმირის მამამ, მოხუცმა მუშამ მოიარა ზღვა და ხმელეთი. მამა მოუთხრობს შვილს, რომ ეს ყველგან ასეა, ყველგან იგივე შიმშილი და სასოწარკვეთილება. ყველგან ჭუჭყიანი ხეტიალი ჯერ სიმღერით, შემდეგ უსიმღეროდ. ბოლოს ქუჩის კუთხეში ჯდომა დაუსრულებლივ... უკანასკნელ სურათში უმუშევრები ხელებაპყრობილნი წამოიწევენ რამპისაკენ და მიმართავენ უმუშევრებს ამფი-თეატრში: თქვენვე უნდა გარდაჰქმნათ ეს ქვეყანა, ჩვენვე უნდა გარდავქმნათ ცხოვრება, ჩვენს გარდა ჩვენზე არავინ იფიქრებს!

ამ წარმოდგენამ დიდი წარმატებით ჩაიარა, რასაც ბურჟუაზიული პრესაც კი აღნიშნავდა. ეს პიესა ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ მრავალმა უკვე შეიგნო აქსიომა: „ძველი გზის გაგრძელება შეუძლებელია". და ბევრი ახლა კითხულობს: სად არის ხსნა?

ამ კითხვის პასუხი ვან დერ ვისმა, საბჭოთა კავშირში ნახა. იგი დაესწრო მოსკოვის მეოთხე თეატრალურ ფესტივალს. მოწინავე ინტელიგენტი, საბჭოთა კავშირის მეგობარი, ჰოლანდიის ანტიფაშისტური ორგანიზაციის „სიფხიზლის კომიტეტის" დამაარსებელთაგანი (ეს ორგანიზაცია წააგავს პარიზის „კულტურის დაცვის კომიტეტს"), ოპერის, დრამის და მასობრივი სპექტაკლების რეჟისორი ვან დერ ვისი უკვე მეორედ ჩამოდის გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, მაგრამ თუ პირველი მოგზაურობის დროს (მეორე ფესტივალზე) იგი მხოლოდ მოსკოვში იყო, ახლა მოსკოვის გარდა გაიცნო ლენინგრადი, როსტოვი და ტფილისი. წინსვლა, რომელიც მან საბჭოთა კავშირში ნახა, აუწერელია.

— მეგობრები მომითხრობდნენ —განუცხადა მან ჩვენს თანამშრომელს— თუ რამდენად გამოიცვალა საბჭოთა კავშირი. მაგრამ თუ კაცი საკუთარი თვალით არ ნახავს ამ წინსვლას, ის მაინც ვერ შეიგნებს მას მთლიანად. საბჭოთა თეატრის ქება ზედმეტია. ყველასათვის ცხადია, რომ ის პირველ რიგებში დგას, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ცოცხალი თეატრია დედამიწის ზურგზე. აღსანიშნავია ცოცხალი ურთიერთობა მსახიობისა და მაყურებლისა, რაც მხოლოდ აქ არის შესაძლებელი, რადგან ორივენი ერთ და იმავე იდეოლოგიურ საფუძველზე დგანან. მეორე ფესტივალთან შედარებით ხაზი უნდა გაესვას მეოთხე ფესტივალის უფრო ფართო ბაზისს, ნაციონალური თეატრების შექმნას და განვითარებას და ხალხური შემოქმედების დიდებულ თეატრს, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

აბრაამ ვან დერ ვისი ამზადებს ამჟამად წიგნს სათაურით „საბჭოთა თეატრის გარშემო". მას განზრახული აქვს საბჭოთა თეატრის არა ესთეტიკური შეფასება, არამედ ორგანიზატორული ახსნა.

ფესტივალზე რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრის წარმატების შემდეგ ვან დერ ვისი დაინტერესდა ქართული თეატრის სხვა დადგმებით (ნაციონალური თეატრების განვითარება იქნება ერთერთი მნიშვნელოვანი მომენტი მისი წიგნისა), კერძოდ ქართული ოპერით.

— დაუვიწყარია ჩემთვის ფესტივალის ყველა წარმოდგენის უსაზღვრო ოპტიმიზმი. და ეს ოპტიმიზმი მართლაც რომ გასაგებია—განაცხადა ვან დერ ვისმა.

◇

ამინდი დასავლეთ საქართველოში

ქუთაისი, 22 სექტემბერი. ხუთი დღეა რაიონში განუწყვეტელი კოკისპირული წვიმებია. რიონის დონემ ერთი მეტრით აიწია. ბრკოლდება სიმინდის, სოიას და ბოსტნეული კულტურების აღება.

○

ფოთი, 22 სექტემბერი. სოფელ ნაჭარქიოსთან რიონი ნაპირებიდან გადმოვიდა. წყალდიდობისგან დაზარალდა კრამიტის ქარხანა პატარაფოთში. მინდვრები წყლით დაიფარა სოფელ საკვიჩიოში და ფოთის შიდამიდამოებში. მიღებულია ზომები წყალდიდობისაგან ქალაქის დასაცავად.

○

ბათუმი, 22 სექტემბერი. 18 სექტემბერს აჭარისწყალი ძალიან ადიდდა. აჭარისწყლის ჰორიზონტმა ორ მეტრამდე აიწია. წყალი შეტბორდა აწჰესას რამდენიმე ნაგებობაზე. აწჰესის ძირითადი ნაგებობანი არ დაზიანებულა. გუშინ შუადღისას სამი დღის შეწყვეტის შემდეგ აღადგინეს სატვირთო მოძრაობა ბათუმსა და აწჰესს შორის. მიღებულია ზომები წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

○

წყალტუბო, 22 სექტემბერი. დღემდე გამუდმებით სწვიმდა, დღეს დილით კი გამოიდარა. დაიკლო წყალმა მდინარე წყალტუბოში და ამუშავდა დიდი საბაზანო, რომელიც წყალდიდობის გამო რამდენიმე დღე შეჩერებული იყო.

არხზე დღესაც არ არის აღდგენილი ნიაღვრის მიერ წაღებული ხიდი და სამკურნალო კომისიის დასასვენებელი სახლიდან დამსვენებლები აბაზანებში მისავლელი გზით ავტოთი გადმოჰყავთ.

ნ. ალინი.

პროფ. აკ. შანიძე

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის" აღდგენისათვის

ორას ოცდაოთხი წელია მას შემდეგ, რაც პირველად დაიბეჭდა გენიალური ქმნილება რუსთველისა „ვეფხისტყაოსანი". იგი გამოვიდა ვახტანგ მეექვსის რედაქციით 1712 წელს სტამბაში, რომელიც მისივე მეცადინეობით იქნა დაარსებული ტფილისში. ეს სტამბა პირველი სტამბა იყო ჩვენში. მისი მოწყობილება გამოწერილ იქმნა რუმინეთიდან (ვლახეთიდან), საიდანაც სტამბას სპეციალისტიც მოჰყვა, უნგროვლახელი მიხაილ სტეფანეშვილი, რომელმაც ერთერთ თავის მიერ დაბეჭდილს წიგნზე (კონდაკზე, რომელიც 1710 წ. გამოვიდა) ბოლოს რუმინული ლექსი მოათავსა ქართული ასოებით*) სტამბა მომარაგებული იყო ორგვარი შრიფტით: ძველი ქართულით (ე. წ. „ხუცურით") და ახალი ქართულით (ე. ი. „მხედრულით"). უკვე 1709 წ. გამოვიდა ამ სტამბიდან ძველი ქართული შრიფტით დაბეჭდილი სახარება და სამოციქულო, შემდეგ მათ მოჰყვა ხუთიოდე წიგნი, ხუცურად და მხედრულად დაბეჭდილი (კონდაკი—1710 წ. ლოცვანი—1710 წ. ჟამნი 1710, დავითნი—1711 წ. სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა 1711 წ.) და 1712 წელს უკვე „ვეფხისტყაოსანიც" დაიბეჭდა, რა თქმა უნდა, მხედრულად.

პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი" წარმოადგენს დიდი ტანის წიგნს, რომელიც რვა-რვა გვერდად არის ნაბეჭდი. თავფურცელზე იკითხება: „ვეფხის ტყაოსანი აწ ახალი დაბეჭდილი ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისსა შრომითა წარსაგებელითა მისივე მპყრობელისათა" (6 სურათი). თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ბაგრატიონთა ღერბი, რომელსაც ქვეშ სათანადო ხუთსტროფიანი ლექსი მისდევს. რომელიც შემდეგს (მესამე) გვერდზე გადადის. ღერბის ლექსს მისდევს ერთი შაირი სტამბის მოწყობის შესახებ.

სტამბას ბეჭდვიდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი.
აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი.
გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აქვირვა მნახველნი.
ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოვლნი მჩხაბელნი.

მესამე გვერდი თავდება ცნობით, რომ ვახტანგმა ვლახეთიდან მესტამბე მოიყვანა და სტამბა „გააკეთა". შემდეგ გვერდზე თვით ვახტანგის სურათია მოთავსებული საბრძოლო ნიშნებისაგან ლამაზად გაკეთებულ ჩარჩოში. შემდეგ კი იწყება თვით ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა".

პირველნაბეჭდ „ვეფხისტყაოსანს" გვერდების სათვალავი (ზედა აშიაზე) და რვეულების სათვალავი (ქვემო აშიაზე) ქართული ასოებით აქვს გაკეთებული.—ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ და სხვ. ქართული ასოებითვე აქვს გაკეთებული შაირების (ანუ სტროფების) სათვალავი, ყოველთვის გარეთა აშიაზე (ე. ი. რექტოზე მარჯვენივ, ვერსოზე მარცხნივ).

პირველი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა" მხატვრული გამოცემაა და ამ მხრივ იგი მრავალ დანარჩენ გამოცემას სჯობია, გ. ქართველიშვილისასაც კი. მართალია, შიგ სურათები (გარდა ზემორე მოხსენებულისა) არ მოიპოვება, მაგრამ სულ თავში ტექსტს დადებული აქვს კლიშე (ყვავილების ხლართი) და შემდეგ ყოველ სათაურს მიუძღვის 15 სხვადასხვა საბრძოლო ფიგურისაგან სხვადასხვა კომბინაციით იშვიათი ხელოვნებით გამოყვანილი სახეები. ეს გამოცემა ყველაფრად ჰბაძავს საუკეთესოდ შესრულებულ ხელნაწერებს მე-17 საუკუნისას: როგორც ხელნაწერებში წერისას, ისე აქაც ბეჭდვისას ორი ფერია ნახმარი, წითელი და შავი: წითლად დაბეჭდილია სათაურები და შაირების დასაწყისი სიტყვები, შავად კი დანარჩენი ტექსტი. მაგალითად 187 (რპზ) გვერდზე: ხუთი სტროფია (1014—1018) მოთავსებული და ერთი სათაური: „წყაველა ღვთანდილისაგან ფრიდონისამ ნესტან დარეჯანის საძებრად" ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში" წითლად არის წარმოდგენილი. წითლადვეა დაბეჭდილი ხუთივე სტროფის დასაწყისი სიტყვები: 1014) **მოეხვივნეს**, 1015) **ყმა**, 1016) **რა ხა ცხ.** 1017) **ავთანდილ**, 1018) **ხადაცა**. ხელნაწერთა მიბაძვა, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ შაირების სტრიქონები თანაბარი სიგრძისაა: რომ მხატვრული გამოხედვა არ დაირღვეს და ყველა სტრიქონი თავიდან ბოლომდე თანაბარი ზომისა იყოს, ორი უკანასკნელი ასო სტრიქონისა სულ ბოლოსაკენ არის გაწეული ამის გამოისობით ყველა სტრიქონი თანაბრად იწყება და თანაბრადვე თავდება და გვერდი ყველა თანაბარია.

სასვენ ნიშნთაგან მხოლოდ ორწერტილი და სამწერტილია გამოყენებული: ორწერტილი ტაეპის შუაში, (ცეზურის ადგილას, სამწერტილი კი სტრიქონის დასასრულში.

შრიფტი, რომლითაც დაბეჭდილია ეს პირველი სტამბური „ვეფხისტყაოსანი", მეტად ლამაზია. იგი ამდროინდელი საეკლესიო ხელნაწერების მიხედვით არის დახატული. მაგ. **მ. ხუთაბერიძისა.** ცალკეული ასოების გარდა შიგ გვხვდება აგრეთვე ლიგატურები **და, მო, შო, თო** და სხვ. ეს შრიფტი ხმარებაში იყო 1722 წლამდე, შემდეგ სტამბა (1723 წ. ოსმალების ტფილისში შემოსვლისას) განადგურდა.

ვახტანგისეული გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა" შეიცავს სულ 1587 სტროფს. შემდეგ მისდევს ორი სტროფი ისევ სტამბის შესახებ, ხოლო მერმე იწყება ვახტანგის „თარგმანი", ანუ ახსნა-განმარტება „ვეფხისტყაოსნისა", კომენტარიები. ვახტანგი სტროფობლივ მისდევს პოემის ტექსტს და ხსნის გაუგებარ ადგილებსა და ცალკეულ სიტყვებს. ყველა სტროფისათვის ვახტანგს კომენტარიები ვერ დაუწერია: ჯერ—ერთი იმიტომ, რომ მოუცლელად ვიყავიო და მეორეც ისა, რომ მე „გზა და რიგი" (ე. ი. მეთოდი) მიჩვენებია და ამ მეთოდით სხვებმა განაგრძონ საქმეო. ვახტანგის მეთოდს შეიძლება ველარ გავჰყვეთ „ვეფხისტყაოსნის" კომენტარიების დროს, მაგრამ მისი გამოცემა მაინც მეტად მნიშვნელოვანია მრავალ მხრივ, უპირველესად ყოვლისა იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა მუშაობა ჩაატარა ვახტანგმა ტექსტზე: უცვლელად დაბეჭდა რომელიმე მის დროს არსებული ძველი ხელნაწერი მოკლე რედაქციისა, თუ ვრცელი რედაქცია შემოკლა. ამის შესახებ აქ არას ვიტყვი, რადგანაც დასაბეჭდად დამზადებული მაქვს სპეციალური გამოკვლევა და იქ ნაჩვენებია, თუ როგორია საქმის ნამდვილი ვითარება.

ახლა ორიოდე სიტყვა კიდევ ამ პირველი გამოცემის შესახებ. არ ვიცით, რამდენ ცალად დაიბეჭდა პირველი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა". არც ის ვიცით, თუ რამდენი ცალი დაიღუპა ანტონ კათალიკოზის მიერ გამოცხადებული ბრძოლის შედეგად. ვიცით მხოლოდ, რომ ამ პირველი გამოცემისა მხოლოდ რამდენიმე ცალია ჩვენამდის მოღწეული. მე ვიცნობ და აღწერილი მაქვს სულ 17 ცალი, რომელთაგანაც დიდი უმეტესობა დაგლეჯილ-დაფლეთილია. სავსებით სრული ცალი არც მეგულება ჯერჯერობით. ზოგს თავში აკლია, ზოგს შუაში და ბოლოში, ზოგს იქაც და აქაც. ზოგი ცალი ისე დაფლეთილია და ფურცლებდაკლებული, რომ პირდაპირ გული გეტკინებათ. უმეტესობა ამ ცალებისა მუზეუმებს, არქივებს და წიგნთსაცავებს ეკუთვნის, რამდენიმე კი კერძო პირთ. ორი ცალი ლენინგრადშია. აღმოსავლეთმცოდნეობის (ყოფ. აზიის) მუზეუმში, დანარჩენები კი ტფილისში.

მოღწეული ცალების მიხედვით სავსებით შესაძლებელია მთელი გამოცემის აღდგენა. ეს საქმე ჩემი თაოსნობით იკისრა სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა რუსთველის სახელობის ინსტიტუტმა. უნივერსიტეტის შრიფტის კაბინეტმა უკვე აღადგინა ვახტანგის ასოების პუნსონები, ხოლო ქარხანამ მათი მიხედვით ჩამოასხა შრიფტი. განზრახული გვაქვს ამ დღეებში შევუდგეთ წიგნის წყობას და ბეჭდვას იმ ვარაუდით, რომ ამა წლის დეკემბერში ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი" გამოვიდეს კიდეც წიგნის ბაზარზე.

„ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემა აღდგენილი იქნება სწორედ ისე და იმგვარად, როგორც იგი დაიბეჭდა 1712 წელს: იმავე ფორმატისა, იმავე შრიფტით, ისევე მხატვრულად გაფორმებული, ისევე წითელ-შავი ფერებით დაბეჭდილი და სხვ. ოღონდ გასწორებული იქნება კორექტურული შეცდომები (რომელთა რიცხვი ძალიან დიდია) და დაერთვის ჩემი გამოკვლევა ამ გამოცემის მნიშვნელობის შესახებ, მოღწეული ცალების აღწერილობა და ანბანზე გაწყობილი ლექსიკონი ვახტანგის კომენტარიებიდან გამოკრებილი) და სხვა შენიშვნები.

○

P. S. ერთი თხოვნა მკითხველებისადმი. რადგანაც განზრახული მაქვს აღვნუსხო ყველა ცალი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნისა" და მათი აღწერილობა დაეურთო აღდგენილ გამოცემას, ამიტომ ვსთხოვ ყველას მაცნობოს, თუ სადმე ვისმე მოეპოვება აღნიშნული გამოცემა და თუ შესაძლებელია, მათხოვონ სულ ცოტა ხნით ასაწერად. ან, თუ გაიმეტებენ, დაგვითმონ შესაძენად რუსთველის ინსტიტუტისა, ან სხვა რომელიმე დაწესებულებისათვის. მისამართი: ტფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი ა. შანიძეს.

◆

---

*) ა. შანიძე. ქართული სტამბის ისტორიისათვის („ლიტერატურული მემკვიდრეობა", I. 1935 წ.).

ცირკი

სეზონის გახსნა

ცირკის ყველაზე ძვირფასი თვისება ისაა, რომ განავითაროს მაყურებელში ადამიანის სხეულის სილამაზისა და მოქნილობის სიყვარული. ამიტომ ჟონგლიორები, ჯამბაზები, ეკვილიბრისტები ყოველგვარი საცირკო წარმოდგენის სასურველი პერსონაჟებია.

მაგრამ არ შეიძლება პროგრამის მარტო მათზე დაყრდნობა. საჭიროა მრავალფეროვნება, ყველა ჟანრის გამოყენება. ჩვენი ცირკის პირველი პროგრამა თითქმის მთლიანად ტფილისისათვის ნაცნობი ნომრებისაგან შესდგება. მასში სჭარბობს აკრობატიკა და ეკვილიბრისტიკა. ამასთან ზოგიერთი ნომერი ტექნიკური შესრულების მხრივ არც თუ მაღალ დონეზე დგას. მთელი რიგი დარგები (მუსიკალური ექსცენტრიკა, ილუზიონისტები, სალაპარაკო ჟანრი) სულ არ არის წარმოდგენილი პროგრამაში.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მკრთალი და უფერულია. არიან საინტერესო შემსრულებლებიც. ნომრებიდან, რომლებიც ძალას და მოქნილობას მოითხოვენ, აღსანიშნავია მირონოვები, 3 პლანეტი, 4 ლურიხი. შესრულების სიზუსტით გამოირჩევა 4 ელმინის ფრენა ცირკის გუმბათის ქვეშ.

ცხენების კარგი გაწვრთნა გვიჩვენა ა. კისომ.

კლოუნადა, ცირკის ერთერთი ძირითადი ჟანრი, რომელსაც წინათ მრავალი ბრწყინვალე წარმომადგენელი ჰყავდა. სამწუხაროდ, მკრთალად არის მოცემული პროგრამაში. მენეისკის, კოკოს და იაკობინის ნომერი არ არის ინტერეს მოკლებული, თუმცა ის საკმაოდ დროგადასული და ძალზე გაჭიანურებულია.

ტრადიციული პატი და პატაშონი იშვიათად აცინებენ საზოგადოებას. ზათფრიად მნიშვნელოვანი როლი აქვთ დაკისრებული ცირკის პროგრამაში: უნდა ამოავსონ „ცარიელი ადგილები" ნომერსა და ნომერს შუა და თავისი კომიკური მოძრაობით, მიმიკური ჟესტებით მხიარული განწყობილება შექმნან მაყურებლებში. პატი და პატაშონი შეძლებისდაგვარად ასრულებენ ამ დავალებას.

პირველი პროგრამის თვალს, უდაოდ, ველოსიპედისტები მორენოები წარმოადგენენ. მხოლოდ ამ ნომერზე შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკური შესრულების მხრივ ის იმაზე მაღლა დგას, რაც ჩვენ წინა სეზონებში გვინახავს. მსახიობები მორენო ასრულებენ მთელ რიგ ურთულეს ფიგურებს, რომლებიც ხიბლავენ მაყურებელს სიმსუბუქით, სილამაზით და მოქნილობით. ეს ატრაქციონი ამ სახის საუკეთესო საზღვარგარეთული ატრაქციონების დონეზე დგას.

მუსიკას, კარგი ხარისხის მუსიკას [illegible] ცირკში ყურადღება არ ექცევა. ცირკის ორკესტრი მეტწილად მოშლილია. ამ ნაკლს ვერც წელს დააღწია თავი ტფილისის სახელმწიფო ცირკმა.

სტარტი მიცემულია — სეზონი გაიხსნა. უნდა ვიფიქროთ, პროგრამა შემდეგში თანდათან გაუმჯობესდება.

ვ.

◇◇

გარაჟი ტროლეიბუსებისათვის

უახლოეს თვეებში ტფილისში გაიხსნება სატროლეიბუსო მოძრაობა. სატრანსპორტო-საავტომობილო მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულებით, წლის ბოლომდე ტფილისში მოღებულ უნდა იქნას 20 ტროლეიბუსი. 5 მათგანი უკვე გამოგზავნილია, ხოლო დანარჩენები უახლოეს ხანში გამოიგზავნება.

ტროლეიბუსებისათვის აიგება სპეციალური გარაჟი ორჯონიკიძის და ტელმანის ქუჩების კუთხეში.

ამჟამად მთავრდება სამზადისი გარაჟის მშენებლობისათვის.

ახალი აბანო წყალტუბოში

წყალტუბო, 22 სექტემბერი. დღეს წყალტუბოში შეუდგნენ ახალი საბაზანო შენობის აგებას. მისი სიგრძე იქნება 94 მეტრი. სიგანე — 32, აქ იქნება ორი აუზი თითო 12 კაცისათვის და 16 ინდივიდუალური კაბინა. მშენებლობა დაჯდება 1.200.000 მანეთი. მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს კაპტაჟი. შენობა მომავალ წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ. მშენებლობა დაკისრებული აქვს „წყალტუბმშენს".

◇

მონოგრაფია კომპოზიტორ სულხანიშვილზე

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი შეუდგა მასალების შეგროვებას განსვენებული ქართველი კომპოზიტორის ნ. სულხანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებაზე.

ამ მუშაობის შესასრულებლად, აგრეთვე მონოგრაფიის შესადგენად, რომელშიაც შეტანილი იქნება ნ. სულხანიშვილის მთელი რიგი (20-მდე) ნაწარმოებები, გამოყოფილია სპეციალური კომისია. ნ. სულხანიშვილი ქართული მუსიკის კლასიკოსად და საგუნდო-სასიმღერო ხელოვნების ოსტატად ითვლება. წიგნი დეკემბერში გამოვა.

◇

სამეცნიერო დაწესებულებების რეორგანიზაცია

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში არსებული ანთროპოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტი და არქეოლოგიის ინსტიტუტი, აგრეთვე სატერმინოლოგიო კომისია ლიკვიდირებულია. მათი ქონება და ბიუჯეტი გადაეცემა სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალს.

ფილიალის სისტემაში იქმნება მეცნიერული ტერმინოლოგიის სექტორი პროფ. ვ. ბერიძის მეთაურობით და აგრეთვე არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის სექტორი პროფ. გ. ა. ნიორაძის ხელმძღვანელობით.

საქართველოს განსახკომის ბრძანებით ლიკვიდირებულია აგრეთვე საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი. მის ფუნქციებს შეასრულებს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გეოგრაფიული ინსტიტუტი.



ვეფხის ტყაოსანი:-
აწ ახალი დაბეჭდული ქართულის ენასა ზედა ჟამსა ამა
ღლებულისა საქართველოს მპყრობელისა
უფლისა უფლისა ვახტანგისსა:-
შრომითა წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა:-
გამართა ჴელითა ჴელოვნისა კარის დეკანოზის შვი
ლის მიქელისათა: ქალაქსა ტფილისისასა
ქრისტეს აქეთ
ათას შვიდას და თორმეტსა დასაბამითგან ვიდრე
აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა:-

„ვეფხის ტყაოსნის" პირველი გამოცემის (1712 წ.) თავფურცელი.

სოფ. აკურის (თელავის რაიონი) კოლმეურნეობა „მოწინავეს" კოლმეურნეთა ბავშვები ერთობიან რთველის მოლოდინში ფოტო—ტურის.

ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა" ცალკე წიგნად სცემს პროფესორების ნ. ი. სევეროვისა და გ. ნ. ჩუბინიშვილის მოხსენებას ქართული არქიტექტურის ისტორიის შესახებ. ეს მოხსენება მათ წაიკითხეს ტფილისში სრულიად საქართველოს არქიტექტორთა ყრილობაზე და მოსკოვში არქიტექტურის აკადემიის სესიაზე.

მოხსენება გამოიცემა ქართულ და რუსულ ენებზე. იგივე მოხსენება დაიბეჭდება მოსკოვში „არქიტექტურის პრობლემების" კრებულში.

ამ მოხსენების გამოცემით პირველად გამოვა მთლიანი სქემა საქართველოს არქიტექტურის ისტორიისა როგორც ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, ისე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

გამოცემას დიდძალი ილუსტრაცია დაერთვის.

◇

მწერალთა კავშირში

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისთვის მოსკოვში გამოდის მხატვრული ლიტერატურის კრებული—„ორი ხუთწლედი", რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლები.

საქართველოდან კრებულისათვის მასალებს ჰგზავნიან მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, ს. კლდიაშვილი, პ. იაშვილი, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი და სხვანი.

○

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირმა კოლხიდაში მიავლინა მწერლები: მ. ჯავახიშვილი, ა. მაშაშვილი, პ. იაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, პ. საყვარელიძე, ნ. მიწიშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. კალაძე და ტ. ტაბიძე. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით კოლხიდის შესახებ საუკეთესო ნაწარმოებზე გამოცხადებულია კონკურსი. სულ გამოყოფილია ათი ჯილდო. აქედან ორი პირველი ჯილდო ხუთ-ხუთი ათასი მანეთის რაოდენობით, ოთხი მეორე ჯილდო თითო სამ-სამი ათასი მანეთის და ოთხი მესამე ჯილდო თითო ათასი მანეთის რაოდენობით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მწერალს.

◇

ქ რ ო ნ ი კ ა

ტფილისის ორჯონიკიძის რაიონმა შემნახველმა სალარომ ობლიგაციების გამოცვლასთან დაკავშირებით მოაწყო სემინარები ბუხჰალტრებისა და სალაროს მუშაკების გადასამზადებლად. სემინარი უკვე გაიარა 192 კაცმა.

სამხრეთ-ოსეთიდან ლენინგრადს გაიგზავნა ადრეული საზამთრო ხარისხის მსხლისა და ვაშლის პირველი პარტია 25 ტონის რაოდენობით. ამ დღეებში გაიგზავნება მეორე პარტია 150 ტონის რაოდენობით.

ქუთაისში დამთავრდა ახალი სატელეფონო ქსელის მშენებლობა და მონტაჟი. ქსელში ჩართულია 400 აბონენტი. წლის დამლევამდე ჩართული იქნება 830.

ი. ქავჟარაძემ ფრანგულიდან სთარგმნა ჟან ჟიონოს „ცხვრის ფარა". თარგმანი დაიბეჭდება ჟურნალ „მნათობში".

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გასაგზავნად საბჭოთა მეურნეობა „ილიჩი" (აფხაზეთი) ამზადებს მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს, უმაღლესი ხარისხის ადგილობრივი და ევროპული ჯიშის ყურძენს და საუკეთესო ხარისხის ღვინოს.

გალის რაიონის კოლმეურნე [illegible] ანსამბლი, რომელსაც კოტე გეგეჭკორი ხელმძღვანელობს, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებისა და გავრცელებისათვის ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მიერ დაჯილდოვებულია 3.000 მანეთით.

კ ი ნ ო

„ომი მთებში"

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის უკანასკნელი საოლქო ტაქტიკური სწავლების დროს საქართველოში ჩამოსული „მოსტექფილმის" ბრიგადა მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოს დავალებით შეუდგა სამთო ოპერაციებისადმი მიძღვნილი თავდაცვითი ხმოვანი ფილმის გადაღებას.

ეს ფილმი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს არა მარტო წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისათვის, არამედ ფართო ეკრანისთვისაც. მისი გადაღება სწარმოებდა ტაქტიკური სწავლების დროს და მის შემდეგაც № ცხენოსან სამთო მსროლელ დივიზიაში, რომლის სარდალია ბრიგადის მეთაური ამხ. კვლიაშვილი, ამას წინათ წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვებული.

ბრიგადა დირექტორ ამხ. რიაჟესკის, რეჟისორ მორგენშტერნის, საფრენოსნო თავდაცვითი ოპერაციების ერთერთი უძველესი ოპერატორის მოგილევსკისა და სხვების შემადგენლობით, განსაკუთრებით გულთბილად მიიღეს ა.-კ. სამხედრო ოლქის სარდლობამ, დივიზიის სარდლობამ და ოლქის პოლიტსამმართველომ.

ბრიგადამ ტაქტიკური სწავლების დროს მთელი რიგი საინტერესო მომენტების გადაღება მოახერხა. კერძოდ, ფილმისათვის გადაღებულია ავიაციის მიერ ყუმბარების დაშვების ეპიზოდები, საარტილერიო სროლა სამთო პირობებში, თვითმფრინავებიდან პარაშუტით ყუმბარების ჩამოყრის ცალკეული ეპიზოდები და სხვ.

ძირითად როლებში გადაღებული არიან № სამთო მსროლელი ლეგიონის მებრძოლები ამხ. ვოლოდინი და ლაპა, რომლებმაც მაღალი აქტიორული ნიჭი გამოამჟღავნეს, რის შედეგად ბრიგადამ ხელი აიღო პროფესიონალი მსახიობების გამოყენებაზე იმ როლებში, რომლებსაც ეს მებრძოლნი ასრულებდნენ.

განზრახულია ამ ფილმს უწოდონ „ომი მთებში"; ფილმი იგი დიდად შეუწყობს ხელს ყველა მეთაურს, მათ შორის უფროს მეთაურთა შემადგენლობასაც, სამთო მსროლელი ნაწილების ტაქტიკური მოქმედების შესწავლაში.

ამჟამად გადაღებანი ფილმისათვის საქართველოს ფარგლებში ძირითადად დამთავრებულია.

◇

ს პ ო რ ტ ი

ფოთი—ტფილისი

დღეს, 24 სექტემბერს, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება „საქართველოს თასის" გათამაშების მორიგი კალენდარული შეხვედრა. თამაშობენ ფოთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი და ტფილისის „მშენებლები". დასაწყისი 5 საათზე.

○

სპორტის დამსახურებული ოსტატები

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ ფიზკულტურის და სპორტის საკავშირო კომიტეტმა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატების სახელი მიანიჭა საქართველოს სამ ცნობილ მოღვაწეს სპორტის დარგში: ძველ ტანმოვარჯიშეს, ფიზკულტურის საუკეთესო მასწავლებელს ამხ. გ. ეგნატაშვილს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ტანვარჯიშის დარგში ამხ. გ. რჩხილაძეს და საბჭოთა კავშირის რეკორდსმენს მძლეოსნობაში, ორდენოსან ამხ. იოსელიანს.

ამავე დროს კომიტეტმა ამჟამად მოსკოვში მყოფ ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარისაგან ამხ. მილშტეინისაგან და მისი მოადგილე ამხ. ჩიქვაიძისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

— მხურვალედ მივესალმებით ამხ. ეგნატაშვილს, რჩხილაძეს და იოსელიანს საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის სახელის მიღების გამო. ვუსურვებთ მათ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ფიზკულტურის და ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

◇

კ რ ე ბ ე ბ ი

25 სექტემბერს, დღის სრულ 1-ლ საათზე მწერალთა სასახლეში (ამხ. ა. თათარიშვილის კაბინეტში) შესდგება ჟურ. „მნათობი"-ს აქტივ-მწერალთა კრება. დღის წესრიგშია ჟურ. „მნათობი"-ს მუშაობის საკითხები.

○

27 სექტემბერს, მწერალთა სასახლეში შესდგება გამსახურდიას რომანის —„მთვარის მოტაცების"—საჯარო განხილვა. მოხსენებით გამოვა ამხ. ბ. ჟღენტი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და კრიტიკოსები. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

26 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კავშირის სამდივნო ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქციასთან ერთად იწვევს ახალგაზრდა მწერალთა თათბირს. დღის წესრიგშია: ჟურნალ „ჩვენი თაობის" მუშაობის შესახებ; მწერალთა კავშირის პოეტების, პროზაიკოსთა და დრამატურგთა სექციის მუშაობის შესახებ ახალგაზრდათა შორის.

◇

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

★ **უბედური შემთხვევა.** ლენინის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონში შეხტომისას ჩამოვარდა და ვაგონის ქვეშ მოჰყვა უცნობი ქალი, რომელიც მძიმედ დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს.

12 წლის ა. ა. კონდრატიევი (მანჯიკოვის ქ. № 118) ჩამოხტა ტრამვაის მიმავალი ვაგონიდან და მისაბმელი ვაგონის ქვეშ მოჰყვა. თვლებმა მას ორივე ფეხი გადასჭრა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვი საავადმყოფოში მოათავსეს.

დებოშირები. სიმთვრალის დროს ქუჩაში დებოშის ატეხვისა, მოქალაქეთა შეურაცხყოფისა და საგუშაგოზე მდგომი მილიციელისათვის ურჩობის გაწევისათვის დააპატიმრეს და პასუხისგებაში აძლევენ ნ. ვ. ივანოვს და ჰუსეინ ნადირ-ოღლის.

◆

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ" საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ა.-წ. 28 ივლისის გადაწყვეტილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს 1936 წლის 16 სექტემბრის დადგენილების მეოთხე ფურცლის სათაური უნდა იკითხებოდეს: „1937 წლის გაზაფხულზე ვაზის მყნობის გეგმა".

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

მტაცებელნი სამსჯავროს წინაშე

[illegible] მტაცებელთა, მფლანგველთა ეს ხროვა, [illegible] „ტსოკ" [illegible]

რა ქნათ, რომ მოსამართლეთ თავისი ნაოფლარი თავისივე საკუთრებად, ბედნიერი აწმყოს და მომავლის ცნობიერებით სურთ. ეს სურვილი არ აკმაყოფილებს საქმეს, სოციალისტური ქვეყნის საქმეს ამათთანა „მესვეურნი" გამოუჩნდებიან.

[illegible] ყოფილი „ტსოკ"-ის (ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირი) სამშენებლო განყოფილების მეთაურებზე გვაქვს. ვინ არიან ესენი? განყოფილების უფროსის მოადგილე—ინჟინერი გიორგი სიმონიშვილი, სამუშაოთა მწარმოებლები — ინჟინრები ზურაბ ხულაძე, ცოტნე დადიანი და საშენი მასალით მომმარაგებელი იოსებ ჯელაძე. ესენი ორაგულები გახლავან, მათ „წვრილებიც" მოჰყვებიან.

ეს ბრბო შეხმატკბილებულად, ერთმანეთის თანხმობით და დახმარებით მოქმედებდა. მათ, როგორც სამშენებლო განყოფილების მუშაკებს, ბევრი რამ ევალებოდათ—შენობების შეკეთება, მშენებლობის საჭირო მასალით მომარაგება, ყიდვა — შეძენა, რაც, მათი აზრით, რასაკვირველია „გამოყენებასთან" იყო დაკავშირებული.

ბოროტმოქმედების ჩადენის მეტი შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, ხელი მიჰყვეს სამუშაოთა სრულიად უსისტემო წარმოებას მშენებლობის ყოველგვარი წესების დაუცველად.

— კაცი კაცით არისო, მარტონი შორს ვერ წავალთ, უკვდავ წყაროს ხეთქისას ვერ შევინარჩუნებთ — გადასწყვიტეს და დაუკავშირდნენ სწორედ თავიანთებრ საქმოსნებს — ფირმებს, ქურდებს, სხვადასხვა საამშენებლო არტელების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, ბუხჰალტრებს. პირადად — არტელ „მშენებლობის" თავმჯდომარე — პეტრე ძიძიგური, ბუხჰალტერი თადეოზ ნაკაშიძე და საწყობის გამგე არტემ როსტომოვი, არტელ „სამშენის" და „სწრაფმშენის" თავმჯდომარეები — ბესარიონ ჩხეიძე და მიხეილ კუპრავა. სპეციალისტთა სახლების მშენებლობის უფროსი შალვა კობესაშვილი, ბუხჰალტერი გიორგი ხიმშიაშვილი, ექსპედიტორი ქრისტეფორე მელქონაძე, არტელ „წინსვლის" სამუშაოთა მწარმოებელი შალვა ხაინდრავა, „ტსოკ-კლუბის" სულისჩამდგმელი, ხელის შემწყობი გახლდათ. ან რას ჰკარგავდნენ? ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირი—ესენი მშენებლობიდან იპარავდნენ ცემენტს, ლურსმანს, ქვიშას, ხე-ტყეს; „ტსოკ"-ის „მშენებლები" სიმონიშვილი და მისი კომპანია კი ყიდულობდნენ ნაქურდალს.

მერე როგორ? ნასყიდობას ფიქტიური ანგარიშებით აფორმებდნენ, ანგარიშებში მასალის რაოდენობას ადიდებდნენ, უმატებდნენ, ძალიან მაღალ ფასსაც უწერდნენ და ჭილებულ განსხვავებას ჯიბისაკენ მიაქანებდნენ.

მაგალითად ვასახელებთ: 1 მან. 43 კაპ. ნაყიდი 150 ცალი [illegible] 100 ცალი სამ მანეთიანზე გააფორმეს, 50 ცალი კი 9 მანეთიანზე; 200 კილო ზეთი, კილო 8 მანეთად ნაყიდი, 225 კილოდ გააფორმეს და ფასიც 13 მანეთად გააფორმეს; 700 კილო ლურსმანი, კილო 4 მანეთად ღირებული, 6 მან. 75 კაპ. გაატარეს. ამგვარი ფაქტები უამრავია. მაგრამ ესეც კმარა.

მათი ბოროტმოქმედება მარტო ამით როდი ამოიწურება. სიმონიშვილის ჯგუფი ფიქტიურ ანგარიშებს ზემოხსენებულ არტელებში შოულობდა, რომლებიც ბეჭედს უსვამდნენ და უმოწმებდნენ ყალბ საბუთებს, რითაც დანაშაულს ხელს უწყობდნენ, სამაგიეროდ კი „გამორჩენის" 10 პროცენტს ღებულობდნენ.

დიდია მძარცველთა მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი; ამიტომ ძნელია პატარა წერილით ყველა იმ დანაშაულის, სიყალბისა და ბოროტების აღწერა, რაც საბრალმდებლო დასკვნის 56 ფურცელშია გადმოცემული.

პასუხისგებაში მიცემული 20 მტაცებლისაგან, მათი დამქაშებისაგან, ხელის შემწყობლებისაგან და ხელისდამფარებლებისაგან შემდგარი ბრბო ხვალ 25 სექტემბერს უზენაეს სასამართლოს წარუდგება. შვიდ მათგანს—7 აგვისტოს კანონი აქვს წაყენებული, დანარჩენებს კი სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლი.

საქმეს უზენაესი სასამართლოს წევრი ამხ. პ. ბურკაძე გაარჩევს.

მერი ბურდული.

◇

მოძრავი კლუბი

აფხაზეთის სოფლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს გზატკეცილების მშენებლობის მუშათა კავშირის მიერ ტფილისიდან გაგზავნილი მოძრავი კლუბი — ავტომობილი.

მოძრავი კლუბი ხმოვანი კინოაპარატურით, რადიომიმღებით, პატეფონით მომსახურებას უწევს საბჭოთა მეურნეობების მუშებს და კოლმეურნეებს.

მოძრავი კლუბის „გასტროლები" უკვე შესდგა ოჩამჩირეში, შავ-ამბარაში, გუდაუთში, ბლაბურხვაში და რიცის ტბის გზის მშენებლობაზე.

საბჭოთა მეურნეობის მუშები და კოლმეურნეები დიდი ინტერესით დაიარებიან კინოში. ბლაბურხვაში სეანსზე შეიკრიბნენ ძალზე კოლმეურნეები, რომლებმაც პირველად ნახეს ხმოვანი კინო.

მოძრავი კლუბი აფხაზეთში დარჩება სექტემბრის ბოლომდე. ის მომსახურებას გაუწევს ყველა საგზაო სამშენებლო უბანს და მეზობელ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

25 სექტემბერი

პროპაგანდისტთა სკოლის (რუსული და სომხური ჯგუფები) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისა და თვითშემსწავლელთათვის თემაზე: „ნაციონალური საკითხი პარტიის მე-12 ყრილობაზე" — ქართულ ენაზე. საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე „ამხანაგი სტალინი, ერთ ქვეყანაში სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ" საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — პროპაგანდისტ მაკულაშვილის ([illegible] პოლიტცოდნის წრე) მეცადინეობის მეთოდის განხილვა. მოწვეულნი არიან რაიკომების და საწარმოების პარტკაბინეტების გამგეები, შტატის პროპაგანდისტები პარტკაბინეტების მეთოდისტები და ლენინის რაიონის პოლიტცოდნის წრეების პროპაგანდისტები. საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის აგიტკოლექტივებისათვის თემაზე: — „ლენინი და სტალინი ბოლშევიკური აგიტაციის მნიშვნელობის შესახებ" — ქართულ ენაზე 8 საათზე.

○

— **ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში** 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება ამხ. ბარამიძის მოხსენება (ქართულ ენაზე) პროპაგანდისტებისათვის თემაზე—„ტროცკისტულ-ზინოვიევური და ამიერ-კავკასიის ნაციონალ-უკლონისტური ელემენტების კონტრრევოლუციური ბლოკის გამომჟღავნებისა და ლიკვიდაციის გზები".

○

— **25 სექტემბერს**, 7 ნახ. საათზე, კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტკოლექტივების (რუსული და ქართული ჯგუფები) მორიგი მეცადინეობა. იმ არტელების, მაღაზიების, პატარა საწარმოების და დაწესებულებათა აგიტატორების დასწრება, სადაც ადგილობრივი აგიტკოლექტივები არ არსებობენ, სავალდებულოა. თემა „ესპანეთი".

რედაქციის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 ტელეფონები: პ.-მგ. რედაქტორის 3—62—26, პ.-მგ. რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე 3—05—67, საქმეთა [illegible] 3—06—88. პარტმშენებლობის განყ. 3—57—61, სასოფლო მეურნეობის განყ. 3—73—40, მშრომელთა წერილების განყ. 3—73—24, გამომცემლობა 3—51—91.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Დ. 8591